№ 118 **სახალხო გაზეთი** № 118

სამშაბათი, 28 სექტემბერი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწ. პირველი

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

სურათებიანი დამატება

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

**** ხელის-მომწერთა საყურადღებოდ ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

26 ენკენისთვეს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## ივანე მერაბის ძე დავლიანიძე

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისა **ანასტასია კაციას ასული და შვილი პეტრე ივანეს ძე.** პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, ივქალის ქუჩა **№ 1.** გამოსვენება ხუთშაბათს, 30 ენკენისთვეს, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში, დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე, კუკიაში. (2—1)

20 ამ თვეს რუსეთში გარდაიცვალა სამხედრო სამსახურის გარეშე მყოფი პოლკოვნიკი

## თავადი ლევან ნიკოს ძე ჩიჩუა

რასაც უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს **ნატალია ვლადიმერ გრაფ სოლოგუბის ასული კნ. ჩიჩუასი** შვილით, **თავადი კონსტანტინე (ხახუ)** ნიკას ძე **ჩიჩუა** მეუღლით და **კნ. სალომე მხეიძისა ჩიჩუას ასული.** პირველნი—საყვარელ ქმრისა და მამისა, უკანასკნელი დაუვიწყარ ძმისა. მოსვენება და დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1–98—1)

**მართა ვახტანგის ასული, სევერიანე და პლატონ დარისპანის ძე მდივნები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას ქ. ტფილისში პირველი შვილისას, ხოლო დანარჩენი ძმისას

## იოსებ დარისპანის ძე მდივნისას.

პანაშვიდი იქნება მიხეილის საავადმყოფოს ნიშში სამშაბათს, 28 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, ნიშიდან გამოსვენება—ტფილისის რკინის გზის სადგურზე 29 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე. აქედან მიცვალებულს წაასვენებენ შორაპნის მაზრის სოფელ ზოვრეთში. დაკრძალვა მოხდება 5 ოქტომბერს. (1—99—1)

## რ. ა. პორტუგალოვისა

ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან, ოდესიდან და პეტერბურგიდან

### ● დიდ ძალი ●

◀ **ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები,** ▶

იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები

გაცების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოცემული მაქვს ხაკომისიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.

ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ზიდზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. (50—57—7)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**გ. გაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**შ. ა მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ბ. ბო-პოვი**—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

**ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.**—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—448)

## საჭიროა აგენტი

როვინციაში გაზეთების გამავრცელებელ ბიუროსათვის **ძლიერ საჩქაროდ.** საჭიროა გაზეთების გამყიდველი აგენტი შემდეგ ადგილებში: ჩოხატაურში, ხონში, ზუგდიდში, ახალ-სენაკში, ელისავეტპოლში (განჯა), და ყარსში. წინ და წინ საჭიროა ორი კვირის გაზეთების საფასური ფული. მიმართვა და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ Эриванская площадь, д. Гургенова, обшій входъ съ нотаріусомъ Мгебрымъ, Эрасту Давидовичу Горделадзе.

**საზოგადოების წევრთა და განსაკუთრებით კახელ მევენახეთა**

## საყურადღებოდ

ამით აცხადებს, რომ **„კახეთის"** საზოგადოების საქმეების გაუკეთესების გამო მას საშუალება აქვს კახურ ღვინის მთელი მოსავალი მომხმარებლებზე გაასაღოს შუამდგომელთა დაუხმარებლივ.

საზოგადოების წესდების მე-§ § 4 და თანახმად, მიღებულ ღვინოში პატრონს მიეცემა პირველად ღირებულობის მესამედი, შემდეგაც ორი-მესამედი ორჯერობაზე დაუბრკოლებლად საოპერაციო წლის განმავლობაში. გამგეობა იმედოვნებს, რომ ღვინის მწარმოებელნი აიკილებენ ჩარჩ მოვაჭრეებს თავიანთ-და სასარგებლოდ და საერთო საქმის გასაძლიერებლად. (10—65—8)

—◀ **ნაძალადევის სცენის მოყვარულთა წრის** ▶—

წესდება დამტკიცდა, და დროებით არჩეული კომიტეტი ამა წრისა მოიწვევს

## საზოგადო კრებას

28 ამა მდგომარე სექტემბრის სამშაბათს, საღამოს 5 საათზე ნაძალადევში, ავჭალის ქუჩა საქალაქო სასწავლებლის დარბაზში, სახლი ბოტტესი. (2—92 2)

ქართული წიგნების გამომცემელი

☛ **მიხეილ ნემსაძე** ☚

დრო-გამოშვებითა და პატარ-პატარა ტომებად გამოსცემს

## ა. ყანშიაშვილის ● თხზულებათ. ●

გამოცემა იქნება მშვენიერ ქაღალდზე და სუფთად დაბეჭდილი. ამის შემდეგ გამოსცემს სხვა მწერალთა ნაწარმოებთაც. პირველი გამოვა იმ თვის პირველ რიცხვებში. (ნ—უ.—3)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოვებულია და სტაციონარული განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება, დღეც და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—1 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

**კარშინი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და საბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანხვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 12—2 ნახ. ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ვ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე 2—2-ნახ. ს.

**ხოზოლევსკი გ. გ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შიდაგამ სამასუხური. (200—ნ.—287)

ხონის საურთიერთო კრედიტის

საზოგადოების მეორე საგანგებო

## კ რ ე ბ ა

დანიშნულია ამა წლის 10 ოქტომბერს, დღით კვირას, დილის 11 საათზე, ხონის სავაჟო პროგიმნაზიის შენობაში.

**საგნები კრებისა:**

მოხსენება პირველ საგანგებო კრებაზე არჩეულ კომისიისა ახალი ბინაზე გადასვლის თაობაზე. (2—97—1)

**ექიმი მ. ს. არჯევანიძე** ქუთაისში.

იღებს შინაგან და დედათა სენით ავადმყოფებს, ყოველ დღე კვირა უქმის გარდა, დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 6—7 საათ. პუშკინის ქ., სახ. ი. ი. გოგილოვისა (25—9—15)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფ. ლიგირპიჩნაია). (ი—223)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ 6—7 საათ. გამინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. 20 (0—6.—52)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს $5^1/_2$—$6^1/_2$ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

ქ. შ. წ.-კით. ს. მაღაზიაში იყიდება ახალი წიგნი

**ეპისკოპოსის კირიონისა**

„კულტურული გავლენა ივერიისა რუსეთის ისტორიაზე"

ფასი 3 მან. (10—64—7)

**ექიმი გ. ნ. მაგაკიანი**

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10–11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—სალ.—38)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე**

იზმაილოვის ქუჩაზე N 2. **გადავიდა** გოლოვინის ქ. იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

**ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

## ვასწავლი

● **ხალხურ სიმღერებს** ●

**და ვამზადებ ქართულ გუნდს.**

ორშაბათობით და ოთხშაბათობით { საღ. 4—6 ს.

ავჭალის მოედანი, N 13, ნემეცების სასაფლაოს გვერდით. (5—უ.—2)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე

**სარაპ**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

**პავლოვსკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

**ბოგუცკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**მოსე**—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^1/_2$—3 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

**ნოვიცკი**— ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.

**ვესელოვზოროვი ნ. ნ.** ქირურგ. ავად. ყოვ. დღ. 2—3 საათ.

**ხატისოვი ნ. დ.**—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

**მიკირტუმოვი** დილის $10^1/_2$—$11^1/_2$ ს. ყოველ-დღე.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ. სულ. ელექტროტერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4—5 საათ.

**ფონდოვი**—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 11—12ს. დილ.

**ი. მ. ახპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის წრატით. (100—ნ.—99)

## შპალიერი

8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რულო

## ძმ. ტარნოპოლევის

საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.

განყოფილება **ტფილისში:** გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355.

**ფასები საფაბრიკოა.**

ნიმუშები უფასოდ. (7—82—3)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა (უ)

კლასები

## ფორტეპიანოში

**იოსებ გიორგის ძე**

## ტერ-დავიდოვისა

ტფილისი, ელისაბედის ქ. № 40. (20—ნ.—15)

# რევოლუცია პორტუგალიაში

(დეპეშებიდან)

**პარიზი.** „მატენისა" და „ჟურნალის" კორესპონდენტები ლისაბონიდან იუწყებიან: ქალაქში სრული სიმშვიდე და დიდი მოძრაობაა. ყველა პროვინციები რესპუბლიკას ეერთდებიანო.

**ლონდონი.** „რეიტერის" კორესპონდენტი ლისაბონიდან დეპეშით იუწყება: ქალაქში სრული სიმშვიდეა. ყველგან რესპუბლიკის დროშები ფრიალებს. მეფის მომხრეთა პარტიები გაჰქრნენ, მათი გაზეთები აღარ გამოდიან. რევოლუციამ იმ დროს იფეთქა, როცა მეფეს დიდი წვეულება ჰქონდა მარშალ ფონსეკის პატივსაცემლად. თეოფილე ბრაგამ განუცხადა კორესპონდენტს, რომ რევოლუციის მიზანი არც სამხედრო და არც პირადი, როგორც ეს იყო ოსმალეთსა და ბრაზილიაში. იგი შედეგია ფილოსოფიურ იდეებისა. ბრაგანის სამეფო გვარეულობა არ აძლევა თანამედროვე პროგრესსის გზას და საქმეში ინგლისის ჩარევისა ეშინოდა, ვინაიდან ავიწყდებოდა რომ კავშირი შეიკრა არა ორ სამეფო სახლთა შორის, არამედ ორ ერთა შორის.

**ლისსაბონი.** გუშინ საღამოთი იმ დროს, როცა მონასტრის მახლობლად მეზღვაურნი მიდიოდნენ, იეზუიტებმა ყუმბარა გადმოაგდეს, მოკლულ იქმნა ორი მეზღვაური, დაიჭრა ერთი. მისაშველებლად მოსულ ჯარის კაცებს იეზუიტები ყუმბარითვე გაუმასპინძლდნენ. მონასტერს შუადღემდე ზარბაზნებს ესროდნენ. დაჭრილია ბევრი ჯარის კაცი და იეზუიტი.

**პარიზი.** ლისაბონში მყოფი საფრანგეთის ელჩი ადასტურებს, რომ ხუთშაბათს პორტუგალიელ ორ მღვდელთან ერთად მოკლულ იქმნა საფრანგეთის მოქალაქე ფრანგიც. ახალი მთავრობა ამ ამბის გამო დიდ მწუხარებას აცხადებს და ირწმუნება რომ მას ჰსურს კეთილი განწყობილება ჰქონდეს ყველა სახელმწიფოებთან, ნამეტნავად ფრანგებთანაო.

**ლისაბონი.** რკინის გზის გაყოლებაზე ქვეყანა დამშვიდებულია. საზღვარ-გარედ მგზავრები პირდაპირ დაუბრკოლებლივ მიმოდიან. ლისაბონში ჩოკლულია 300 კაცი. ჯარები იბრძოდნენ მხოლოდ ავენიდა-ლიბერდადესა და დონპედროს მოედანზე. როცა მეფის სასახლეს ზარბაზნებს ესროდნენ, მოქალაქენი შინიდან გარედ არ გამოდიოდნენ.

**ბერლინი.** ლისსაბონიდან ვოლფს აუწყებენ რომ ხვალ გამოცხადებულ იქმნება დეკრეტი კონგრეგაციების (სამღვდელოებათა ორგანიზაციების) განდევნის შესახებ. კონგრეგაციებმა დღე-ღამის განმავლობაში უნდა მიატოვონ პორტუგალია.

**ლისსაბონი.** მთავრობამ უბრძანა აფიცრებს და მათ შორის ვიკონსულოსაც, ფრანკისტების ერთ მეთაურთაგანს, უმთავრეს ბინაზე გამოცხადდნენ ლისაბონში. მთავრობა ყოველ საშუალებასა ხმარობს, რომ ჯარმა და ხალხმა უწესოება არა მოახდინონ რა. ტრამვაი აქა იქ ამოძრავდა. ქალაქის ჯარი და პოლიცია გაუქმებულ იქმნა. ადგენენ ახალ საპოლიციო რაზმებს. აჯანყებულ ჯარის სარდალის რეისის, რომელმაც თავი მოიკლა და რევოლუციის წინა დღით მოკლულ პროფესსორის ბომბარდეს გვამს სახელმწიფო ხარჯზე დაასაფლავებენ. ქვეითა ჯარის მეცხრამეტე პოლკი აჯანყდა, ყაზარმებიდან გამოვიდა და ქალაქის ჯართან შეტაკება მოუხდა.

**ვაშინგტონი.** სახელმწიფო დეპარტამენტმა ლისსაბონიდან ცნობა მიიღო პორტუგალიაში რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ, მაგრამ პასუხი არ გასცეს ვიდრე ახალ წესწყობილების სიმტკიცეში არ დარწმუნდება.

**ლონდონი.** გიბრალტარიდან რეიტერს აუწყებენ: როცა სასახლეს ზარბაზნები დაუშინეს, მეფე სასახლეში იყო. აქედან წავიდა მაფრაში, იქიდან-კი ერისეირში გადავიდა აქვე შეხვდა თავისს ოჯახის სხვა წევრებსაც. ვენი გემზე ნავით გადავიდნენ. გზაში მეფის გემს სამხედრო გემები არ შეხვედრია. დედოფალი-დედა მეფის ერისეირში მოსვლამდე საშინლად შეწუხებული იყო. მეფის მხლებლება თან ვერაფერის წამოღება ვერ

მოასწრეს და ტანისამოსი გიბრალტაში იყიდეს.

**მადრიდი.** კანალეხასი იუწყება, რომ ბადახოზში მოსულმა პორტუგალიელმა რევოლიუციონერმა ისპანიის მთავრობას შემდეგი დაწვრილებითი ცნობები შეატყობინა. რევოლუციის აფეთქების დროს დედოფალი-დედა და მეფე ლისსაბონში არ იყვნენ. მათ ადგილ-სამყოფელში მივიდა რესპუბლიკანელების მეთაური და რესპუბლიკანურ კომიტეტის სახელით აღუთქვა რა პირადი სიცოცხლის უზრუნველყოფა, ურჩია ჩამსხდარიყვნენ გემში, რომელიც ერისეირის ნავთსადგურში იდგა და იქიდან საითაც ინებებდნენ, იქით წასულიყვნენ. რევოლუციონერებმა ესევე განუცხადეს ოპორტის ჰერცოგს, თუმცა იგი უკვე ტყვედ ჰყავდათ. ეს ჰერცოგი ქუჩებში ჰმეთაურობდა მეფის მომხრე ჯარებს და გმირულადაც იბრძოდა.

**ოპორტო.** ქალაქში მშვიდობიანობაა. რესპუბლიკა მხოლოდ მაშინ გამოაცხადეს, როცა აქ მიიღეს ოფიციალური გაზეთი, სადაც ნათქვამი იყო რომ დროებითი მთავრობა უკვე შესდგარა.

**ლისსაბონი.** ღამით შეიარაღებული ბრბო თავს დაესხა დედათა მონასტერს. მონოზნებმა რიცხვით 150, წინააღმდეგობის გაწევა მოინდომეს. 12 მონაზონი მსუბუქად დაიჭრა და სამხედრო საავადმყოფოში წაიყვანეს, დანარჩენი მონოზნები დახურულ ეტლებში ჩასხეს და სადღაც წაიყვანეს. მონასტერში ჯარი ჩადგა.

**გიბრალტარი.** სამეფო ოჯახის ნაპირზე გადმოსვლის შემდეგ, გემი „ამელია“ ისევ ლისსაბონს დაბრუნდა.

—

როგორც ირკვევა, რევოლუცია კაი ხანია მოსალოდნელი იყო პორტუგალიაში. მანუელ მე 2 ტახტზე ავიდა 1908 წ. 1 თებერვალს მამა მისის კარლოს I მოკვლის შემდეგ. ახალგაზდა 18 წლის მეფემ (დაიბადა 1889 წ. 2 ნოემბერს) ვერ შესძლო აღელვებულ ქვეყნის დაშოშმინება, თუმცა ამ მოკლე ხანში კაბინეტი ხუთჯერ შესცვალა. მას არ ჰქონდა მხნეობა და ნიჭი ქვეყანა გამოეყვანა იმ აუტანელ მდგომარეობიდან, რაიცა დაამყარა მინისტრ ფრანკოს დიქტატორულმა რეჟიმმა. მან ვერ მისცა მხარეს ძირითადი რეფორმები უბედურ ქვეყნის გამოსაბრუნებლად, რაიცა უფსკრულამდის მიიყვანა კლერიკალიზმისა და უხეირო პოლიტიკურ პარტიების ბატონობამ. საზოგადოებრივმა უკმაყოფილებამ თავი იჩინა ამ წლის 15 აგვისტოს, კორტესის არჩევნების დროს, რომელმაც დაამტკიცა რესპუბლიკელთა პარტიის საოცარი ზრდა. არჩეულ იქმნა 15 დეპუტატი რესპუბლიკელი ნაცვლად წინანდელ პარლამენტში მყოფ 7-ისა. თვით ლისაბონში რესპუბლიკელთ მისცა ხმა ამომრჩეველთა 60 პროც. მდგომარეობა გართულდა მით, რომ რესპუბლიკურმა მიმდინარეობამ მომხრენი იპოვნა ჯარსა და ფლოტში. ამ გვარად ძალაში მყოფ ტაქსეირა-დე-სუზოს სამინისტროს ცუდი დღე დაადგა. შეშინებულმა კლერიკალებმა და შავ-რაზმელებმა მოჰკლეს რესპუბლიკელთა პარტიის მეთაური ცნობილი პროფესორი-პსიხიატრი ლომბარდო, რამაც ხელი შეუწყო რევოლუციის აფეთქებას. რესპუბლიკელთა ორგანიზაცია მოაწყვეს ახალგაზდა ოსმალთა მსგავსად; ორგანიზაციის მონაწილენი სრულიად არ იცნობდნენ მოძრაობის ხელმძღვანელთ, მხოლოდ დამოკიდებულება ჰქონდათ მათთვის მიჩენილ საგანგებო პირებთან.

ერთს გავლენიანს მეთაურს რესპუბლიკურ პარტიისას ბ—ლიმას, რომელიც გაიქცა საზღვარ-გარედ, ასე განუმარტავს პარიზში ჟურნალისტებისათვის მის სამშობლოში მომხდარი ამბები:

— შავ-რაზმელების მიერ პროფესორის ბომბარდტის მოკვლამ მოთმინების ფიალა აღავსო. მეფის კარლოსის ტრაგიკულად დაღუპვამ ჰკუა ვერ ასწავლა მონარქისტებს. დიქტატორი ფრანკო დაიმალა, მაგრამ საგანგებო კანონთა წინანდელი სისტემა დარჩა ლიბერალიზმის დროშის ქვეშაც. ბეჭდვითი სიტყვის წინააღმდეგ დრაკონისებურ ზომებს ხმარობდნენ, ჟურნალისტები იძულებული იყვნენ გაქცევით დაეღწიათ თავი რეპრესიებისათვის. პოლიცია პროვოკატორთა დახმარებით აარსებდა საიდუმლო საზოგადოებათ, რომ რესპუბლიკელთათვის სახელი გაეტეხა. დაიწყო დაბეზღება, ჩხრეკა. სასახლის კამარილა ხალხის ფულების სამარცხვინო ცარცვის საქმეში ჩარეული აღმოჩნდა. მანუელ მეფე ტყვე გახდა კამარილასა და სასახლის პარტიისა.

რესპუბლიკური პარტია ფარულად სასტიკ-კონსპირაციით აკავშირებდა თავის ძალებს და ფრთხილად ილებდა წევრებს. განსაკუთრებულის საიდუმლოებით იყო მოცული სამხედრო ორგანიზაცია, რომელსაც მუდმივი კავშირი ჰქონდა რესპუბლიკელთა უმთავრესს კომიტეტთან. მეზღვაურნი და უფრო განათლებული ელემენტები ჯარისა, ყოველთვის რესპუბლიკელთა მხარეს იყვნენ და ამიტომაც უაღრეს მომენტის დროს, ჯარის ნაწილი გაჰყვა რესპუბლიკურ პარტიას.

პორტუგალიაში საერთო უკმაყოფილებას იწვევდა სამეფო სახლეულობის წევრთა ყოფა-ქცევა. მანუელ მეფე მთლად დაემორჩილა კლერიკალებს და სახელმწიფო საქმეებს პირადი სიამოვნება არჩია. დიდს აღშფოთებას იწვევდა მისი კავშირი ერთ ფრანგ მომღერალ ქალთან და მისთვის გაწეული უმაგალითო ხარჯები, აგრეთვე დედოფლის მიერ ფულების უზომო ფლანგვა. დინასტიის ამ უწესოებას ბოლო მოუღო რესპუბლიკის გამოცხადებამ.

# დეპეშები

(პეტერბ. ტელეგრაფის სააგენტოსაგან)

26—27 სექტემბერი.

## საზღვარ-გარედ

**ურმია.** ხოის ვიცე გუბერნატორად დანიშნული ზარგამ-ულ მულკი იმანში წავიდა ქურთების დასამშვიდებლად. მის განკარგულებაში იქნებიან ხოის სარბაზები და 300 ცხენოსანი.

**ბერლინი.** ვოლფის სააგენტოს ყოვლად საიმედო წყაროებიდან შეუტყვია, რომ ნოემბრის პირველ ნახევარში (ახალის სტილით) ხელმწიფე იმპერატორი ინახულებს ვილჰელმს პოტსდამში.

**ურმია.** მავანაში მყოფმა ასკერების ბატალიონმა ტბის პირა ექვსი საუკეთესო პუნქტი დაიჭირეს ბარანდუზის ოლქში. ქერიმ ხანის ქურთთა რაზმის რიცხვი 500—დე ავიდა.

**თავრიზი.** გენერალ გუბერნატორის განკარგულებისამებრ ჩამოახრჩვეს ორი კაცის-მკვლელი. ბრბო ამ ამბავს გულ-გრილად შეხვდა.

**ურმია.** თავრიზიდან მოვიდა 600 სარბაზი. მკვიდრნი გამხნევდნენ.

**ბერლინი.** გაზეთების სიტყვით კუპფელის ფირმის მუშათა გაფიცვა მოაბიტში დასრულდა. მუშები ორშაბათს მუშაობას შეუდგებიან.

**თავრიზი.** შახსევანების აჯანყების შემდეგ არდებილის ოლქში დროებით სიწყნარე ჩამოვარდა.

## რ უ ს ე თ ი

**მოსკოვი.** მოსკოვის რეზინის მანუფაქტურაში 740 მუშა გაიფიცა.

**ოდესსა.** ხუთი დღის განმავლობაში შავიჭირით ავად გახდა სამი, მოკვდა ორი კაცი.

**კრონშტადტი.** უმაღლესს მოხელეთა თანადასწრებით საზღვაო საინჟინერო სასწავლებლის ეკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი მაციევიჩის სულის მოსახსენებლად. პიოტროვსკიმ გაფრენა გადასდო, შემდეგ კი აზრათა აქვს პეტერბურგში პირდაპირ, სრუტეზე გადაფრინდეს.

**პეტერბურგი.** დღეს პანაშვიდის წინად სამხედრო საავადმყოფოს ნიშში მაციევიჩის კუბოს დაადეს ვერცხლის მშვენიერი გვირგვინი ლიდის მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძის სახელით. გვირგვინს აწერია: „ჩემს ერთგულ თანაშემწეს“. გვირგვინი სტოლიპინმაც მიართვა, ზედ წარწერით: „მოვალეობისა და გამბედაობის მსხვერპლს“.

**სტავროპოლი.** ნოვოჩერკასის სამოსამართლო პალატამ საერობო უფროსად ნამყოფს თავად კაზლოვსკის ოთხი წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა მიუსაჯა, ღირსების ახდით. კაზლოვსკიმ 11,000 მანათი გაჰფლანგა და რუსეთ იაპონის ომის დროს სხვა და სხვა სიყალბე ჩაიდინა.

**მოსკოვი.** ფოჩტამტის შენობის საძირკველი ჩაჰყარეს შენობა დიდებული რამ იქნება და ეღირებმ არა ნაკლებ 1 ნახევარი მილიონისა.

**ოდესსა.** ქალთათვის უმაღლეს საექიმო კურსების გახსნას დღესასწაულობენ. აუარებელი მისალოცი დეპეშები მოდის.

**მოსკოვი.** მოსკოვ ნიჟეგოროდის რკინის გზაზე, მოსკოვში მიმავალ მატარებლის მესამე კლასში ორის ტყვიით მოჰკლეს სახელმწიფო არყის დუქნების ფულის ამკრები კულაკოვი, მკვლელებმა მატარებელი გააჩერეს და მიიმალნენ.

**ვილნა.** სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს მეორე სათათბიროს დეპუტატი კომინსკი. რუსს ამომრჩევლებს არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ—ჩვენ მაინც ჩვენს კაცს ვერ გავიყვანთო. პოლონელთაგან ამორჩეულს თავის წარმომადგენლად არა სთვლიან.

**პეტერბურგი.** სტუდენტები ფულს აგროვებენ მაციევიჩის გვირგვინისათვის.

უმაღლესად ებრძანა სააზნაურო ბანკს გამოსცეს 25 მილიონის საგირავნო ფურცლები.

**მოსკოვი.** „ნოვი ვოსხოდის“ რედაქტორი დაჯარიმებულ იქმნა 300 მანეთით.

## ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** ხოლერით ავად გახდა 11, მოკვდა 3, დარჩა 316.

**მოსკოვი.** პენზის გუბერნია, მაზრები ოსინისა, სოლიკამსკისა და ჩერდინსკისა ცნობილ იქმნა ხოლერიანად.

**პეტერბურგი.** ამ კვირას ხოლერით ავად გახდა ვორონეჟის გუბერნიაში 51, მოკვდა 24; ვიატკის გუბერნიაში ავად გახდა 4, გარდაცვლილა 3; კიევში ავად გახდა 1, გარდ. 1; გუბერნიაში ავად გახდა 325, გარდაც. 139; მოგილევის გუბერნიაში ავად გახდა 19, გარდაც. 12; ოდესაში ავად გახდა 3, გარდ. 3; ომსკში ავად გახდა 8, გარდაც. 5. ამავე მაზრაში ავად გახდა 3; პეტროპავლოვსკში ავად გახდა 4, და სხვ.

# ფინლანდია

(დეპეშებიდან)

## უმაღლესი მანიფესტი

„შეწევნითა ღვთისათა, ჩვენ ნიკოლოზ მეორე, იმპერატორი და თვით მპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლანდიისა და სხვათა და სხვათა და სხვათა, ვუცხადებთ დიდის სამთავროის ფინლანდიის ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომთ: ვბრძანებთ რა ამა რიცხვიდან დანიშნული იქმნეს ახალი არჩევნები სეიმის დეპუტატთა, კეთილ-საყოფელად ვცანით დათხოვნილ იქმნეს აწ არსებული საგანგებო სეიმი მიმდინარე წლის 25-სა ამა ენკენისთვესა (8 ოქტომბერს) და თანხმად მეჩვიდმეტეისა მუხლისა ჩვენ მიერ 1906 წლის, 7/20 ივლისის თარიღით დამტკიცებულ წესდებისა სეიმისათვის, მოწვეულ იქმნეს ახალი სეიმი 1911 წლის 1 თებერვალსა, ახალის სტილით, ქალაქ ჰელსინგფორსში. ამიტომ ყველა ისინი, ვინც არჩეულნი იქმნებიან სეიმის დეპუტატებად, ამ დროისათვის უნდა გამოცხადდნენ ჰელსინგფორსში თავის მოვალეობათა აღსასრულებლად. **ნიკოლოზ.** ნაბრძანებია ფრიდბერგში, ენკენისთვის 24 დღესა (7 ოქტომბერს) 1910 წლისა“. ხელის მოწერითა თვისითა ამოწმებს მინისტრის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი სტატს-სეკრეტარი ეტტერი.

უმაღლესი დადგენილება სეიმის ახალ არჩევნების შესახებ: ხელმწიფე იმპერატორმა ფრიდბერგში ყოფნის დროს 24 სექტემბერს 1910 წლისა, უმაღლესად ბრძანა: თანხმად მეჩვიდმეტე მუხლისა, 1906 წ. 7/20 ივლისის თარიღით უმაღლესად დამტკიცებულის წესდებისა დიდის სამთავროის ფინლანდიის სეიმთათვის, სეიმის ახალ დეპუტატების არჩევნები დაიწყოს 1911 წლის იანვრის 2-ს (ახალის სტილით). ხელს აწერს მინისტრის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი სტატს-სეკრეტარი ჰ. ეტტერი.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“-ო, უთქვამთ ჩვენ ძველებს. რამდენად მართალია ეს თქმულება, ძნელი შემოწმებულია, მხოლოდ კავკავის საოლქო სასამართლოს კი რომ სამართლიანი განაჩენი დაუდგენია, ეს ეჭვს გარეშეა. აი რასა ვკითხულობთ გაზეთ „რეჩ“-ის 259 ნომერში:

წარსულ ზაფხულს კავკასიის სასამართლოთა მოქმედების ხარევიზიოდ გაგზავნილ იქმნა სენატორი რეინკე. ამ სენატორმა სხვათა შორის, განიხილა კავკავის სასამართლო დაწესებულებათა საქმის წარმოება და მცირე რამ შეცდომათა გარდა, ისიც ფორმალურის მხრივ, ყველაფერი წესიერადა და უნაკლულოდა ხცნო.

მაგრამ, როგორც ქვემოდ მოყვანილი მაგალითი გვიჩვენებს, ყველაფერი ისე წესიერად არა ყოფილა მოწყობილი, როგორც ეს პატივცემულ სენატორს მოსჩვენებია.

აი ეს მაგალითიც.

კავკავის ოლქის სასამართლო სესიამ, 13 სექტემბერს, გაარჩია საქმე ვიღაც მელემკოსი, რომელსაც ქ. გიორგიევსკის მცხოვრების პეჩენკინის მოკვლა განეზრახა. 19 წლის ბრალდებული სასამართლოში მებორკილი მოიყვანეს.

სასამართლოს თავმჯდომარემ ჰკითხა:

— მიიღეთ, თუ არა საბრალმდებლო აქტი.

— არა, ბატონო, არ მიმიღია.

— ხომ იცი, რასაც გაბრალებენ?

— არა, არ ვიცი.

—თქვენ გაბრალებენ,რომ ქ. გიორგიევსკში განგიზრახავთ ამ ქალაქის მცხოვრების პეჩენკინის მოკვლა. აბა, რას იტყვით?

— მე იმას მოგახსენებთ, რომ ქ. გიორგიევსკში ჩემს სიცოცხლეში არა ვყოფილვარ და არავის მოკვლაც არ განმიზრახავს. მე პირველად ვცხოვრობდი ქალაქ სარატოვში, ბოლო დროს კი ვმსახურობდი შუა-აზიის რკინის გზის სადგურ «კუროპატკინოზე». ერთ დღეს დამატუსაღეს. ვკითხე: „რა მიზეზით, რას მაბრალებთ მეთქი. „ჩვენ არა ვიცით-რა... იქ გეტყვიანო“, მიპასუხეს. ციხეში ჩამსვეს, იქიდან კი გადმომიყვანეს პიატიგორსკის ციხეში. აქაც ვსთხოვე ბრალმდებელს: გთხოვთ საქმე გამოიძიოთ მეთქი, «იჯექით—გამოვიძიებთო». მეც, აბა, სად გავიქცეოდი, ვიჯე-

---

# სამსონის თმები

ძღვნად მარსიალ ფუასსის.

თ ა ვ ი

ც

(დასასრული*)

ჩამოხმაა?

ვინ შემოაპარა გოგლოს ეს სიტყვა?

სარკემ შემოსთავაზა, თუ მეგობართა შეიცებამ შეხვედრისას.

მართალნი კი იყვნენ ორივენი: სარკეცა და მეგობრებიც.

გოგლო ხმებოდა, დნებოდა დღითი-დღე.

მაგრამ ეს არ იყო უძლურება სხეულისა. სხეულის ავადმყოფობის მიერ გამოწვეული მოდუნება.

სხეულს, პირიქით, დიდი ჯან-საღობაც ეტყობოდა, მხოლოდ სჩაგრავდა მას შინაგანი, სულიერი განწყობილება.

გოგლო ეხლა ჯან-საღ ტყვესა ჰგავდა, რომელსაც თავისი ცხოველმყოფელი მზის სხივი აკლდა. ან უკედ გალიაში მომწყვდეულ ჩიტს, თავისუფლება წართმეულსა.

არაფერი არა სტკიოდა, მხოლოდ სევდა უჩინარი, მაგრამ ძლიერი უღრღნიდა გულს.

რადა? რა მოუვიდა? განა ბედნიერი არ იყო, განა არ მიაღწია საწადელს?

— მშვენიერი ცოლი. ტკბილად და ბედნიერად მიმდინარე ცხოვრება. ლუკმა-პურზე უზრუნველობა. ისეთი მოწყობილება, როგორიც მას უნდოდა: წიგნები, თანამედროვე, პერიოდული გამოცემანი, სურათები, ქანდაკებანიც კი.

სხვა რაღა უნდოდა?

დასჯექ და სწერე. მიეც თავი ტკბილსა და ამამაღლებელს ჩქროლვას შემოქმედების ზვირთებისას.

განა უშლიდა ვინმე? ცოლი?

ანიკოს განა თვით არ უყვარდა გოგლოს მწერლობა, მისი შემოქმედება? განა არ ესმოდა მისი? არ ესმოდა კი არა, ის არ იყო განა აქამდის აღმაფრთოვანებელი, მისი ცადამყვანი, მისი მუზა? განა ანიკო არ იყო მისი პირველი საუკეთესო მსმენელი, კრიტიკოსი და ამხსნელ-გამრკვეველი? მისი საუცხოვო თანამშრომელი?

მაშ რად მოუწყენია? რად დაუკრეფია ხელები გულზე? რად არ მოქმედებს? რად არ შეიქმს?

რა უშლის?

აი ეს კითხვები დიდი ხანია მოსვენებას არ აძლევენ გოგლოს. თითქო თავი უსკდებაო. აწვებიან, ფუსფუსებენ, დარბიან ტვინის ლაბირინთოში.

შუბლმა ტანჯვის ღარები დაისხეს. ულვაშს ზემოდ, მარცხნივ სევდის ხაზი ჩაიკეცა. თვალები ანთებიანივით სადღაც შორს ციმციმებენ. პირის კანმა შავი ფერი გადაიბურა, თითქო ცამ პირი შეიკრა, მოიღრუბლაო.

სოფლის ქალებს რომ ენახათ, ამ დროს, გოგლო, იტყოდნენ—გალალულიაო!

ეგრეც იყო.

თითქო რაღაც ძვირფასი წაართვეს კაცს. ის, რაც აცოცხლებდა, რაც შეადგენდა მის ჯადოს, მის ძალთა ძალს, გამოაცალეს და ცალიერზე დასტოვესო.

ამერიკაში ზოგიერთ დამნაშავეს თურმე ესე სჯიან: ცალიერ ოთახში შეამწყვდევენ და შემდეგ ნელნელა ჰაერს სრულიად გამოაცლიან. ოთახში ცოცხალ ადამიანის მაგიერ ცალიერი ტყავი და ჩონჩხი რჩება, თუმცა არ ეტყობა კი, რომ სიცოხლე წაერთვა, მძინარესა ჰგავს.

ესე თუ უყვეს გოგლოსაც.

მაგრამ ვინ? რამ?

გოგლოს ბიბლიურმა სურათმა გაურბინა თვალ-წინ:

აი სამსონი, მრგვე ვაჟკაცი, ჰერკულესის ასხმულობისა. შავი, გრუზა თმები მხრებამდის აყრია. ბზინავს და ელვარებს ეს თმები, თითქო შიგ ელექტრონის ძალი იყოს ჩამდგარი. ეტყობა, რომ ამაშია სამსონის გამოუცნობელი, მიუწვდომელი ღონე.

და ლაღობს სამსონი. იქ ვირის ყბით მის მიერ განდევნილი ფილისტიმლები, აქ კიდევ ლომი, შუაზე გახლეჩილი, იქ ტაძარი ერთის შემოკვრით დანგრეული.

ძალაა, ძალა შეუვალი, შეუმართველი, მას „ხელი არ ეკიდებისო“.

მაგრამ აგერ დალილა: გველივით მოქნილი, სანთელივით ჩამოსხმული, მარმარილოსავით შემკრივებული.

და თან თვალები: მხიბლავი, გამლალავი.

ერთი მშვენიერი ღამე გიჟურ ვნებით გატარებული და... სამსონის თმები დალილას მიერ შეკრეჭილი ყრია საცოდავად, დაობლებული.

სამსონს კი ძალა წაერთვა.

ამის გახსენებაზე ტკბილმა ტკივილმა დაურბინა გოგლოს ტანში.

მერე განა ანიკო ჩემი დალილაა?

გველ-ნაკბენივით შეხტა გოგლო: ისეთი შეურაცხყოფა როგორ მივაყენე ჩემს ანიკოსაო.

ანიკო, რომელიც თვით ელოდება შეფრფინვით ჩემს შემოქმედებას; ანიკო, რომელსაც, თუ მაწყინარია, თვით ცის ნიავი არ უნდა მომაკაროს; ანიკო, რომელიც მზად არის ყოველი ტანჯვა აიტანოს, უკეთუ ჩემი სულიერი თუ სხეულის ნირი შეიცვლება საზარალოდ; ანიკო, რომელმაც თუ გაიგო, რომ იგი უშლის რამეში ხელს გოგლოს, შეუძლიან ეს დიდი მსხვერპლიც მოიტანოს და ჩამოშორდეს მის ლვთაებას, მის საყვარელს, მის სიყვარულს, ოღონდ კი გოგლო იყოს კმაყოფილი, ბედნიერი და სახელოვანი.

არა, ანიკო არა.

მაგრამ მაშ ვინ? რა?

მხოლოდ რაღაც რომ არის, ეკი ცხადია. თმები რომ შეაკრიჭეს, ეს აშკარაა.

მიტომაც იტანჯება, მიტომაც ჩამოხმა.

აღმაფრენა მოკვდა და მას დასტირის დაობლებული გული და გრძნობა გოგლოსი.

ვისაც ეს განუცდია, მან იცის რა მძიმეა და რა საშინელი ესეთი გლოვა.

მჭედელს რომ სამჭედური დაუნგრიოთ, დურგალს რომ შალაშინი და საჭვრეთელი წაართვათ, მეომარს —ხმალი და მგოსანს—ქნარი, იმათზე უბედური აღარავინ იქმნება.

გოგლოც ამიტომ იყო უბედური. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მისთვის არაფერი არ წაერთმია, პირიქით უხვადაც მოეტანათ მისთვის ყოველივე მისი ხელ-საწყო და თან ზედ-მეტი, სიყვარულ საოცარი და საზეიმო, ფრანდიზად მისთვის გაეშალათ.

მთელი ტრაგიზმიც მისი ყოფნისა სწორედ ამაში იყო.

— მაშ სიყვარული სპობს შემოქმედებასო.

ფიქრობდა გოგლო.

— ან შეიძლება შემოქმედებას უმაღლესი და საბოლოო მიზანი ეგ არის, სიყვარული და, რაკი მას მიაღწევს, მას შემდეგ კი ქრება იგი, კვდება სამუდამოდ.

ბუნებაშიაც—აბრეშუმის ჭია სათავისო პარკს რომ შემოიღობავს და შიგ თესლს ჩაჰყრის, შემდეგ პეპელაიდ გაფრინდება და კვდება კიდეც.

აღასრულა თავისი დანიშნულება, მიზანს მიაღწია.

ნუ თუ ამ გვარადვე კვდება აღმაფრენა და შემოქმედება სიყვარულით დაგვირგვინებული.

ან შეიძლება აქ შემოქმედება არაფერ შუაშია, არამედ თვით ადამიანი, რომლის უმაღლესი დანიშნულებაც სიყვარულია და, რა კი მას მიაგნებს, შემდეგ თავდება მისი წინსვლა. იქ არის მისი ნავთ-საყუდელი, შესასვენებელი.

ნუ თუ მართლა, მგოსნის არ იყოს—

„სიცოცხლე არის პირველ ტრფობამდე...“?

ეხლა თვითონ ანიკო ესაყვედურებოდა ზოგჯერ გოგლოს:

— რატომ აღარას სწერ, რად ზარმაცობო?

მაგრამ გოგლო სევდიანი ხვევდა ხელს და ნამდვილ მიზეზს არ უმხელდა ანიკოს.

თუმცა თვითონ კი იცოდა ნამდვილი მიზეზი?

აკი თვითონაც ვერ გაერჩია.

ეს კი იცოდა, რომ ეხლა თვით არ უნდოდა შემოქმედება. თვით არ უწევდა გული.

რამდენჯერმე სცადა, აიღო კიდეც კალამი ხელში, მაგრამ ერთ-ორ წინადადების შემდეგ შედგა კიდეც აზრის მიმდინარეობა.

ამ დროს მისი ამღვრეული თვალები შეშლილივით გამოიყურებოდნენ, მაგრამ შორს სადღაც ცხადად არჩევდნენ დალილას მიერ მოკრეჭილ სამსონის თმებსა.

ისინი გაფანტულიყვნენ, ფერწართმეულნი, თავის მშობელს მოკვეცილნი საცოდავად და დაობლებულნი.

მხოლოდ იმავ დროს, აქ მის გვერდით, რაკი იგრძნობდა მაგი-

*) იხ. „სახალხო გაზ.“ N 1[illegible].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქი ციხეში, თუმცა არ ვიცოდი რად. დღეს კი აგერ აქ მომიყვანეს და მეუბნებიან: ვიღაც პეჩენკინის მოკვლა განგიზრახავსო.

თავმჯდომარემ მიჰმართა პეჩენკის და შეეკითხა:

— თქვენ იცნობთ იმ კაცს, რომელმაც გესროლათ?

— ძალიან კარგად ვიცნობ. — უპასუხა.

თავმჯდომარემ მელეშკოზე მიუთითა.

— ეს არის?

— არა!—სთქვა პეჩენკინმა—ვფიცავ მაღალ ღმერთს, რომ ამ კაცს პირველად ვხედავ. ვინც მე მესროლა ის ორმოცი წლის კაცია, ცოლშვილიანი. ეს კი გუშინდელი ბალღია და აქამდე ჩემ დღეში არსად არ შემხვედრია.

მოწმეებმაც ფიც ქვეშ დაამტკიცეს, რომ მელეშკო ის კაცი არ არის, რომელმაც პეჩენკინს ესროლა.

სასამართლომ დაადგინა: „რადგანაც მელეშკო ის არა ყოფილა, ვინც პეჩენკინს ესროლა და ამ საქმეში არავითარი ბრალი არ უდევს, საქმის გარჩევა გადაიდოს, ვიდრე ნამდვილ დამნაშავეს აღმოაჩენდეს განსაკუთრებული გამომძიებელი. მელეშკო-კი დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქმნეს და თავისი პასპორტი დაუბრუნდესო.

მაშ, რისთვის სტანჯავდნენ უდანაშაულო კაცს და ციხეში რად ალპობდნენო? კითხულობს გაზეთი.

ამაზე პასუხის გაცემა ჩვენის აზრით—ალბად იმას შეუძლია, ვინც კავკასიაში მოითხოვა „ქმნა რუსისა სამართლისა“...

# ახალი ამბები

## ტფილისი

✦ **ტფ. გუბერნიის თავად აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოება.** კვირას, 26 სექტემბერს, ქართულ გიმნაზიის სადგომში თავ. პ. ი. თუმანიშვილის თავმჯდომარეობით ამ საზოგადოების წევრთა საერთო კრება მოჰხდა. კრებას უნდა მოესმინა ქართულ გიმნაზიის ინსპექტორის ა. ბ. მდივანის მოხსენება გიმნაზიის მდგომარეობის შესახებ და გიმნაზიის მეთვალყურე კომიტეტის წევრნი უნდა აერჩია. მოხსენება კრებამ აღარ მოისმინა და დაადგინა გადასცეს იგი განსახილველად მეთვალყურე კომიტეტს. ამავ კრებაზე დამსწრეთ ერთხმად თანაგრძნობა გამოუცხადეს გიმნაზიის ინსპექტორს ა. ბ. მდივანს იმ სამწუხარო ამბავის გამო, რომელიც ამას წინად გიმნაზიაში მოჰხდა. დასასრულ კრებამ გიმნაზიის მეთვალყურე კომიტეტის ახალი წევრნი აირჩია. არჩეულ იქმნენ შემდეგი პირნი: თავ. პ. ი. თუმანიშვილი (კომიტეტის თავმჯდომარე) ვ. რ. ყიფიანი (თავმჯდომარის ამხანაგი), ნ. ზ. მაჩაბელი, ს. ბაქრაძე, დ. ჯორჯაძე, პ. ი. გვერწითელი და გ. გ. მაღალაშვილი.

✦ **ქალთა უმაღლესი კურსები.** წელს, 26 სექტემბერს შესრულდა ერთი წელიწადი, რაც ტფილისში ქალთა უმაღლესი კურსები დაარსდა. ამ დღის აღსანიშნავად კურსების სადგომში 26 სექტემბერს წლიური აქტი გაიმართა. აქტს დაესწრნენ: საქართველოს ექსარხოსი, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი ლოპატინსკი, ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი და სხვანი. სხვათა შორის, წაკითხულ იქმნა კურსების გამგის ბლაგოვიდოვის მოხსენება კურსების მდგომარეობის შესახებ. მოხსენებიდან სჩანს, რომ შარშან სამოსწავლო წლის პირველ ნახევარში უმაღლეს კურსებზე მსმენელად ყოფილა 212, ხოლო წლის კათავებამდე მსმენელთა რიცხვი 192 გამხდარა. კურსების მოწყობაზე პირველად დახარჯულა 15,000 მან. კურსებს წლის განმავლობაში ხარჯი ჰქონია 35,750 მან. შემოსავალი ჰქონია: სწავლის ფული—24.540 მან. და ქალაქისაგან დანიშნული შემწეობა -5,000 მან. წელს კურსების მოსაწყობად კიდევ დახარჯულა 19,000 მან.

✦ **ხოლერა ტფილისში.** პოლიციის ცნობით, 25 სექტემბერს ტფილისში ხოლერის ნიშნებით ავად გახდა და ხოლერიანთა სამკურნალოში გაგზავნეს ალექსანდრე ნადიროვი. 26 სექტემბერს ავად გახდა ანნა პაშოვკინიანისა.

✦ **შეწირულება.** ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დავით იოსების ძემ ბებუთოვმა შესწირა ფულად ხუთი თუმანი.

✦ **ლექცია სახალხო სახლში.** 29 სექტემბერს საღამოს 8 საათზე, სახალხო სახლში ილია ნაკაშიძე წაიკითხავს ქართულად ლექციას შემდეგ საგანზე: **„ბედნიერების ძიება“**. ლექციის შინაარსი: ჩვეულებრივი აზრი ბედნიერების შესახებ. ბედნიერებისაკენ მიმავალგზების ცოდნა და საზოგადოდ ადამიანის ცოდნის საზღვრები. ბედნიერება, როგორც უმაღლესი მისწრაფების შედეგი, გენიოსი როგორც წყარო ბედნიერებისა. მეცნიერება და სარწმუნოება ბედნიერების შესახებ. ბედნიერი ცხოვრების პირობები და მაგალითები. თანამედროვე მწერლები ბედნიერების შესახებ (მ. მეტერლინკი—„ლურჯი ფრინველი“; ლეონიდ ანდრეევი—„ანათემა“; ლევ ტოლსტოი—„რაშია ბედნიერება“).

როგორც ლექციის შინაარსიდან სჩანს, ლექცია ფრიად საინტერესო იქმნება.

✦ **თავ. ანდრონიკაშვილის დასაფლავება.** 26 სექტემბერს ვერაზე, იოანნე მღვთის მეტყველის ეკკლესიის გალავანში მიწას მიაბარეს გვამი ნაზრანის რაიონში ყაჩაღებთან შეტაკების დროს მოკლულ როტმისტრ თავ. გიორგი ალექსანდრეს ძის ანდრონიკაშვილისა.

✦ **ხოლერიანთა რიცხვი ტფილისში.** ქალაქის სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 25 სექტემბრის დილის 9 საათიდან 26 სექტემბრის დილის 9 საათამდე ტფილისში ხოლერით ავად არავინ გამხდარა, ხოლერიანთა სამკურნალოში იყო 3 ავადმყოფი, დარჩა—3.

26 სექტემბრის დილის 9 საათიდან 27 სექტემბრის დილის 9 საათამდე ხოლერით ავად გახდა 2 კაცი. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო 3 ავადმყოფი, მოემატა—2, ახლა არის—5.

✦ **სახარება აფხაზურს ენაზე.** ამ ჟამად, გაზეთების სიტყვით, ნამესტნიკის სტამბაში თურმე იბეჭდება სახარება აფხაზურს ენაზე. მოკლე ხანშივე შეუდგებიან საეკლესიო საგალობლების ნოტებზე ბეჭდვას აფხაზურს ენაზე.

✦ **ფრენა.** ავიატორი უტოჩკინი ოქტომბრის შუა რიცხვებში ტფილისში ჩამოვა. 20 ოქტომბერს ის აფრინდება დიდუბის მოედანზე. უტოჩკინს თავისი ჰაეროპლანი უკვე გამოუგზავნია ტფილისში.

✦ **უპასპორტონი.** 25 სექტემბერს ტფილისში პოლიციამ შეიპყრო 75 უპასპორტო, ხოლო 26 სექტემბერს—46.

✦ **ხოლერა ამიერ-კავკასიაში.** ყარსში 25 სექტემბერს ხოლერით ავად არავინ გამხდარა. ერევანში: 22 სექტემბერს გარდაიცვალა—1. ერევნის გუბერნიაში: 22 და 23 სექტემბერს ავად გახდა—2, გარდაიცვალა—4; დამატებით: 18 სექტემბერს ავად გახდა—4, გარდაიცვალა—1.

✦ **სტიპენდიების განწილება.** კავკასიაში მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ უკვე გაანაწილა თავისი სტიპენდიები. ტფილისის სასულიერო სემინარიაში მიეცათ სტიპენდიები, თითოს 120 მან. შემდეგ მოსწავლეთ: სააკოვს, სეროვს და კულოშვილს, ტფ. საეპარქიო სასწავლებელში მოსწავლე ქალს პლაკსინას (160 მან.), კავკავის საეპარქიო სასწავლებელში: მოსწავლე ქალს სალამოვას (150 მ.) და თელავის სასულიერო სასწავლებელში: ხევსურს ჰინჭარაულს (100 მან.)

✦ **გადასახადები.** ფინანსთა სამინისტრომ ნება დართო თავად ალექსანდრეს და დიმიტრი ჯორჯაძეებს თელავის მაზრის სოფელ ალმატში მდებარე მათს მამულზე დარჩენილი გადასახადები ხუთის წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ.

✦ **ბალნეოლოგიური სადგური.** უკვე შეადგინა ტეხნიკოსმა მარქაროვმა ქალაქის ბალნეოლოგიურ სადგურის პროექტი და დაახლოვებით ხარჯთაღრიცხვა და ამ დღეებში ქალაქის ბალნეოლოგიურ კომისიას გადაეცემა განსახილველად.

✦ **შეწირულება.** ბაქოელმა მუსა ნაგიევმა კავკასიის სამოსწავლო ოლქს შესწირა 15.000 მან. სასოსტატო სემინარიის გასახსნელად იმ ადგილში, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობა მაჰმადიანებია. ამას გარდა ნაგიევმა 1.000 მან. შესწირა კავკასიის სამოსწავლო ოლქის ცენტრალურ საპედაგოგიო მუზეუმს.

✦ **ბუნების მოყვარულთა საზოგადოებაში.** ამ საზოგადოების გამგეობას განუზრახავს რამდენიმე ექსკურსია მოაწყოს კავკასიის სხვა და სხვა ადგილების დასათვალიერებლად. ამ აზრით გამგეობას კრება ექნება 29 სექტემბერს.

✦ **კოოპერატორთა კრება.** ოქტომბერში ქალაქ ეკატერინოდარში მოჰხდება კავკასიის კოოპერატორთა კრება.

✦ **სამრევლო სკოლების ახალი მეთვალყურე.** ქალაქ ტფილისის სამრევლო სკოლების მეთვალყურედ დაინიშნა ნაძალადევის ეკკლესიის მღვდელი მ. მახათაძე.

✦ **შუამდგომლობის შეუწყნარებლობა.** კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ნება არ დართო წ.-კითხვის საზოგადოებას ქუთაისის განყოფილებას ლატარია ალეგრის გამართვისა, რადგან კანონის ძალით ლატარიების გამართვის უფლება ეძლევათ მხოლოდ საქველ მოქმედო საზოგადოებათ და დაწესებულებათათ.

✦ 26 სექტემბერს ტფილისში შეიპყრეს ეჩმიაძინის მაზრის მცხოვრები ოჰანეს სააკას ძე არუთინოვი, რომელიც 1904 წლიდან სამხედრო ბეგარას ემალებოდა.

✦ ტფილისის გუბერნატორმა 25 მანეთით დააჯარიმა რაჭდენ დოსმიშვილი ზოდიაშვილის შეურაცხყოფისთვის. თუ ჯარიმას არ გადაიხდის, 3 კვირით დააპატიმრებენ.

✦ 25 სექტემბერს გაჭარს მიკირტიჩ ანტონის-ძე ტერ-ანტონიანცს, რომელსაც ფეხსაცმელების მაღაზია აქვს ერევნის მოედანზე, თავის ნოქარ ვალერიან გიორგის-ძე კერესელიძისთვის (16 წლისა) 1,125 მან. გაუტანებია ფიოდოროვის ბანკში შესატანად, მაგრამ ბიჭი დაკარგულა. რამდენიმე საათის შემდეგ კერესელიძე პოლიციელს ხელებ-შეკრული უპოვია ხევში კოჯრის გზაზე. მას ჯიბეში მხოლოდ 25 მან. აღმოაჩნდა. გამოირკვა, რომ ბავშვს ეს თანი ფული მისათვისებლად წაუღებია, ფული სრულად გამოაჩენინეს პოლიციაში და პატრონს გადასცეს.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „განათლების“ ოქტომბრის ნომერი, რომელშიაც მოთავსებულია: საუბარი სახალხო სკოლაზე, დ. ბოცვაძისა; მ. კალინინი, ე. ფადაჯასი; ექსკურსიის მნიშვნელობა, ტეხურის შირელისა; დედა-ენის მდგომარეობა საინგილოში, ზ. ედილისა; ორი ძაღლი, ლექსი აკაკისა; სათვალავის კარამდის, მოთხრობა ეკ. გაბაშვილისა; ზღვის კიდეს, ჰიმნი ბაბილინასი; ზღვის სურათები, ლექსები მედიტან კობენასი; ეპისკოპოსი კირიონი; შინაური მიმოხილვა, გასართობი; დაბადება; უცხოეთი; საჭირო განმარტება, იაკობ გოგებაშვილისა; ბიბლიოგრაფია.

# კიდევ ქალაქის პირველ-დაწყებითი სკოლებზე

როგორც დანამდვილებით გავიგეთ, კუკიელების საერთო თხოვნა კუკიაში პირველ-დაწყებითი სკოლის დაარსების შესახებ, დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. არამც თუ ახალი სკოლა არ დაგვიარსეს, არსებულ სასწავლებელთან პარალელური კლასიც კი არ გახსნეს.

პარალელური კლასის გახსნაზე უარი ეთქვა კუკიის მეორე პირველ-დაწყებითი სკოლის გამგეს ქ. ასათიანს და ბ. პაპიტოვს ავლაბარში, თუმცა იგი თხოულობდა მხოლოდ ნებას კლასის გახსნისას, ისიც უსასყიდლოდ.

არ დავმალავთ და გულ-ახდით ვიტყვით: შევნატრეთ ავლაბრელებს, როცა გავიგეთ ავლაბრის ერთ-ერთი სკოლაში პარალელურ კლასის გახსნის ამბავი. ავლაბარში უკვე არსებობს ოთხი სკოლადა მეხუთეც გახსნეს. რიცხვით ეს მეთერთმეტე სკოლაა სომეხთათვის. ნეტა იმას, ვისი დაჩურჩულებაც კი ასე მალე სრულდება. ჩვენ კი კუკიელებს, ჩუღურეთს, ნადიროვისა და დოლუხანოვის მამულებში მცხოვრებ ქართველებს მხოლოდ და მხოლოდ ერთი სკოლა გვაქვს.

მაგრამ ჯერ კიდევ იმედს არ ვკარგავთ. ახლად ამორჩეულმა ქალაქის მოურავმა ბ. ხატისოვმა მაინც იქნება ყურადღება მიაქციოს ჩვენს ღაღადისს და თუ ახალ სკოლას არ დაგვიარსებს, აწ არსებულთან პარალელური კლასი მაინც გაიხსნას და მით ჩვენ, სკოლის გარედ დარჩენილ შვილებს, საშუალება მისცეს სწავლის მიღებისა.

**ერთი მშობელთაგანი.**

# მოწერილი ამბები

**სურამი.** გიმნაზიელ ქმართვის მოტაცების ამბავი აქ კვლავ დიდს მითქმა-მოთქმას იწვევს მცხოვრებთა შორის. ყველა დაპატიმრებულნი დღესაც ქუთაისის ციხეში სხედან.

თქვენს გაზეთსა და აგრეთვე ტფილისის სხვა გაზეთებში მიყვანილი ცნობა აქაურ მთავარ-დიაკონის სოკრატ სულიაშვილის დაპატიმრების შესახებ სიმართლეს მოკლებულია.

ჩვენის მხრის თავად-აზნაურობა ძალიან მოწადინებულია თავის მამულის ნაწილი ადგილობრივ გლეხებს მიჰყიდოს, მაგრამ საქმე როგორღაც ფერხდება. უმთავრესი მიზეზი ამისა გლეხთა ნივთიერი გაჭირვებაა, ამას ზედ ერთვის ისიც, რომ გლეხნი ნაკლებად ენდობიან თავიანთ ბატონებს.

კარგი იქმნება საადგილმამულო კომისია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდეს ამ გარემოებას და ამ საშუამავლო საქმეს წესიერად და დროზე დააგვირგვინებდეს.

**სურამელი.**

—

**ბათომი.** ჩვენის ქალაქის თვითმმართველობას ამ ჟამად ერთი ფრიად საყურადღებო საკითხი აქვს გადასაწყვეტი. საქმე იმაშია, რომ წელს სკოლის გარედ აუარებელი ბავშვი დარჩა და რა ბედი ეწევა ამ მოზარდ თაობას, არავინ იცის.

სათავისანსო და სასწავლებელთა კომისიამ, ქალაქის საბჭოს წინადადებით, ორჯელ განიხილა საკითხი იმის შესახებ, რომ როგორმე მოეგვარებინათ სკოლის გარედ დარჩენილ ბავშვთა საქმე, მაგრამ კომისიების შეერთებულმა კრებამ საკითხის გადაწყვეტა მომავალ წლისთვის გადასდო.

ეს საკითხი უნდა განხილულიყო 20 სექტემბერს ქალაქის საბჭოს კრებაზე, მაგრამ კრება არ შესდგა ხმოსანთა დაუსწრებლობის გამო.

გული გიკვდება, როდესაც ასე გულგრილობას ჰხედავ ქალაქის მამების მხრით, რომელნიც არჩეულნი არიან მცხოვრებთა კეთილდღეობაზე საზრუნავად. ნეტა რადის მოელება ბოლო ამ გულგრილობას?

**ი.**

—

**დუშეთის მაზრა.** უკვე გამოირკვა ის საგრძნობელი ზარალი, რომელიც წარსულ 3 ივლისს მოსულმა არაჩვეულებრივმა სეტყვამ და ნიაღვარმა მიაყენა მაზრის ზოგიერთა სახოგადოების მცხოვრებთ; თუ ოფიციალურ ცნობებს დაუჯერებთ, დაზიანებული ნათესების და ბაღ ვენახების ზარალი 134,215 მანეთს აღემატება, ამის გარდა ახალგორის სოფლის საზოგადოებაში, რომელიც ყველაზე ძლიერ დაზარალდა, დანგრეულ-დაზიანებულია სახლები და სხვა შენობები და დახოცილია შინაური ფრინველი სულ—3600 მანეთისა; ნათესების და ბაღვენახების ზარალი უდრის: ახალგორის საზოგადოებაში—77081 მანეთს, მცხეთისაში—34170 მ. და ქ. დუშეთის მიდამოებში—4200 მ. ქ. დუშეთში სეტყვამ 800 მანეთის კრამიტი და ფანჯრის მინები ჩაამტვრია; ისეც გაძვალტყავებულ გლეხისათვის ეს ზარალი ძლიერ და ძლიერ საგრძნობელია, მაგრამ საყურადღებოა, რომ, როგორც გავიგე, დაზარალებულნი მთავრობისაგან სესხის აღებაზე უარს აცხადებენ, ალბად ჯერ კიდევ არ დავიწყებიათ 1907 წლის ნასესხები პური და ფქვილი, რომელიც ფუთი ორ მანეთზე მეტი დაუჯდათ, როდესაც სხვაგან მანეთად და ექვს აბაზად იყიდებოდა.

ამ მიმდინარე წელმა მარტო სეტყვა-ნიაღვარი არ გვაკმარა. ამ წელს ხოლერაც გვეწვია და დიდი ზარალიც მოგვაყენა. ახლა კი, მადლობა ღმერთს, ხოლერის სრულიად მოისპო,

ხოლერა კი მოისპო, სამაგიეროდ ჭირი „თურქული“ მთელ მაზრას მოედვა. ჩვენი სამაზრო პატივცემული ბეითალი ჯერ ჯერობით მშვიდად პაპანიოს დაგვრაში ვარჯიშობს. ალბად პაპანიოს წამალი ჭანგები უებარია თუა „თურქულის“ წინააღმდეგ!

მუხრანის, დამშვიდის და სხვა სოფლების ვენახები ისე ძლიერ დაზარალდნენ ავადმყოფობისაგან, რომ დიდ დიდ წვიმების შემდეგ დამდგარ დიდ სიცხეებს მოჰყვა, რომ ვინც თურმე ას კოკას გამოიღებდა, ის ახლა 4—5 კოკა ტკბილს ძლივს დააყენებსო. ერთის სიტყვით, უფერხული უბედურება თავს დაატყდა წელს გლეხ კაცს, და მისი გამკითხავი კი არავინ არის.

ჩვენკენ საგრძნობლად აცივდა, როგორც ეტყობა, ზამთარი სუსხიანი იქნება.

**ამერ—იმერი.**

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** ტრადიციების დაცვას დაჩვეულნი არა ვართ. ქართველმა დრამატიულმა საზოგადოებამ საერთო ჩვეულებას უღალატა და ტრადიციულად სეზონი ისევ „სამშობლოსი“ დაიწყო. ისეთი დაძველებული პიესის წარმოდგენა, რანაირიც „სამშობლოა“, მხოლოდ ამითი შეიძლება აიხსნას. ამიტომ დრამატიული საზოგადოება ძალიან კარგად იქცევა, როდესაც „სამშობლოს“ სწორედ სეზონის დასაწყისში სდგამს ხოლმე. სხვა დროს მის წარმოდგენას არავითარი გასამართლებელი საბუთი არ ექნებოდა. ჩვეულებრივად, „სამშობლოშივე“ გამოდიან ხოლმე ახალი არტისტები; ქართველი საზოგადოებაც განსაკუთრებით ამიტომ მიდის ხოლმე „სამშობლოზე“.

ლევან ხიმშიაშვილის როლის ერთად-ერთის აღმასრულებლად დიდხანს ბ-ნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი ითვლებოდა; მას შემდეგ ამ როლში ჩვენ გვახსოვს ბ-ნი მარჯანიშვილი, რომელიც მალე გამოეთხოვა ქართულ სცენას, ამავე როლში გამოვიდა შარშან ახალ-გაზდა მსახიობი გიორგი იმხნელი; წელსაც ეს წარმოდგენა სადებიუტო წარმოდგენად გადაიქცა ბ-ნ ბოდუ მდივანისთვის.

საზოგადოებას ახალ არტისტებს აჩვენებენ ფრიად დაძველებულ პიესაში, რომლის მომქმედ პირთა ხასიათი, ასე თუ ისე, მუშავდებოდა წარსულ წლებში სხვა და სხვა არტისტების მიერ. „სამშობლო“-ს წარმოდგენა, როგორც ძველი პიესისა, ამასთანავე დამსახურებულ პიესისა, თუ შეიძლება ასე ითქვას, წელიწადში ერთხელ-ორჯელ და ისიც სეზონის დასაწყისში,—არაფერს საწინააღმდეგო არ არის, მაგრამ „სამშობლოს“ გამოსაცდელ წარმოდგენად გადაქცევის წინააღმდეგნი კი ვართ.

ჩვენ ისტორიულ პიესის წინააღმდეგნი არა ვართ; ამას დავამტკიცებთ იმ რეცენზიებით, რომლებიც წლის განმავლობაში დაიბეჭდება: მაგრამ ვთხოულობთ, რომ ისტორიული პიესები გამოსაცდელ წარმოდგენად არ გადაიქცეს, თუ ეს პიესები მართლაც საყურადღებო ნაწარმოები არ არიან. „სამშობლო“ არსებითად არც ქართული ისტორიული პიესაა. იგი ძალიან ცუდად გადმოქართულებული ნაწარმოებია და ამიტომ ისტორიულ სინამდვილესაც ძალიან ნაკლებად გადმოგვცემს. ჩვენთვის ის უფრო საყურადღებო იქნებოდა, რომ თავიანთი თავი ახალგაზდა არტისტებს ისეთს ისტორიულ პიესაში გამოეცადათ, რანაირიც, თუნდა ბ-ნ ვ. ყიფიანის პიესაა. საზოგადოთ კი უკეთესი იქნება, თუ ახალგაზდა არტისტების გამოსაცდელად თანამედროვე პიესებს აირჩევენ.

„სამშობლოში“ უმთავრესი ძარღვი მოქმედებისა მომქმედ პირთა შორის გამართულ ინტრიგისა და ამ ინტრიგის განვითარებაში იმყოფება. ფსიხოლოგიური მომენტი „სამშობლოში“ ძალიან მარტივია, და არტისტისთვისაც ადვილად გადმოსაცემი; განსაკუთრებით ეს ითქმის „სამშობლოზე“ რომლის წარმოდგენის ტეხნიკაც ქართულმა სცენამ საკმაოდ კარგად შეიმუშავა. სასურველი ის იქნებოდა, რომ ახალი არტისტები რომელიმე მთელ პიესაში გამოსულიყვნენ, თუ მართლა სურთ თავიანთი ნიჭისა და ძალის გამოჩენა. საჭირო არ არის პასუხ-საგებ როლების შესრულება. არტისტმა შეიძლება სრულიად უბრალო როლი იკისროს რთულ პიესაში, მაგრამ თავისი ნიჭი და ძალა მაინც დაგვანახვოს. თანამედროვე რეპერტუარი ძალიან ბევრს როლებს გვაძლევს ამისთანას.

ჩვენში დღემდის იმ აზრისანი არიან, თითქოს არტისტს ნიჭის გამოჩენა მხოლოდ პასუხისსაგებ როლებში შეუძლიან. შემცდარი აზრია. პირიქით, ახალგაზდა არტისტს, თუ კი მართლა ნიჭიერია, მხოლოდ მისთანა როლებიდან შეუძლიან დაიწყოს მოქმედება, მხოლოდ ამნაირ როლებში შეუძლიან დაგვანახვოს თავისი შემოქმედებითი ნიჭი. თუ მეორე ხარისხოვან როლის გაპიროვნება მოახერხა არტისტმა, თუ მასაც სული ჩაჰბერა, უნდა დარწმუნებულნი ვიყვნეთ, რომ იგი სასარგებლო არტისტად გადაიქცევა. საზოგადოთ პიესა კი რთული უნდა იყოს, ამასთანავე ჭეშმარიტად ხელოვნურიც, რადგანაც ჭეშმარიტ ხელოვნურ ნაწარმოებში თვითოეული პირთაგანი მოქმედებს და პიესის საზოგადო აზრს ანვითარებს. მაშინ

---

დასთან მიმჯდარი გოგლო ანიკოს თბილსა და ტკბილს სანეტარო სულ-თქმას, ეშხით დამთვრალი მოტრიალდებოდა და თვალებში აჩერდებოდა მის დამლუპველს, მის მაცოცხლებელსა.

ეს თვალები კი, ეს ტანი, მთელი ეს მხურვალე აღნაგობა ანიკოსი ავიწყებდა ყოველივეს ამ ქვეყნად და ისიც ეძლეოდა განცხრომას გიჟურს, გაურჩეველსა.

„სიყვარულსა მალვა უნდა,
ვითა ცხენსა ნაპარევსა“;
თუ გამჟღავნდა გლოვა უნდა,
ვითა ძმასა საყვარელსა“.

— მართლაც მართალსა ჰგავსო. ფიქრობდა გოგლო.

— მხოლოდ თუ მართალია, მაშინ სიყვარული სხვა დიდი ჭეშმარიტება და მომქმედი ძალია და შემოქმედება კიდევ სხვაო. ეს ორი ღმერთია და ერთსა და იმავე დროს ორივეს ვერ სცემ თაყვანსაო. უსათუოდ დამარცხდება. ან ერთის რისხვა მოგკლავს, ან მეორესიო.

თუ სიყვარულს მალვა უნდა და მიტომ არის მშვენიერი, მაშ შემოქმედებაც მაშინ არის კარგი, როდესაც ამ დამალულ, გაუმჟღავნებელ სიყვარულით არის გაპოხიერებული და მიტომაც არის შლიერი, რომ მისი საგანი მიუღწეველია საზოგადოების თვალში და ამავ საზოგადოების მიერ ნება-დაურთველი.

ხოლო, როდესაც გამჟღავნებულია, მაშინ კი გლოვის მეტი რაღა გმართებს? იმიტომ, რომ შენს წმინდათა-წმინდას საზოგადოების ტლანქმა ხელმა საიდუმლოების ლეჩაქი დაუხია და შამპანიურით ხელში შენი ტრფიალის კანონიერება მოგილოცა.

ხოლო, როდესაც კანონიერება გაჩნდა, იქ აღმაფრენა მოკვდა და ამაღლდა ზეცას.

მაშ ცოლი, ოჯახი, საზოგადოების მიერ ნება-დართული ჰკლავს შემოქმედებას და არა პირადად ქალი. კურო, ოლიკო, ცაბულო, ნარო, ან ანიკო.

ესენი მხოლოდ ცხოვრების პირველ კოცნის შემადგენელი ნაწილები არიან და შემოქმედების შარავანდედი ყოველთვისაც მათ დასტრიალებთ.

მაგრამ კანონიერ ცოლიანებიც, საზოგადოების მიერ ნება-დართულ ოჯახიანებიც რომ ქმნიან ნაწარმოებსო?

თუ ისინი უფრო ტლანქი მოხელენი არიან და არ ისრე მახვილი ხელოვანნი.

ან „პირველ ტრფიბამდე“ უკეთ „ქმნიან“, ვიდრე შემდეგ?

ან, შეიძლება, საზოგადოდ შემოქმედების მადლით მოსილ ადამიანებთ სულაც არ მართებთ შეიყვარონ, ოჯახი გაიჩინონ და თვით გაუხლონ ცხოვრებას მოქმედ პირებად?

ან ეს საკითხი სულ სხვა არის უფრო რთულ მიზეზების გამო წამოყენებული?

გოგლო ხმებოდა, დნებოდა ამ კითხვათაგან და ვერ მიეცა პასუხი.

ეს კი იცოდა მხოლოდ: მისი მუზა მოკვდა.

მისი ანიკო კი ცოცხალი იყო და ეს სიცოცხლე მას თუ სრულიად ვერ იპყრობდა, აგიჟებდა მაინც და უპწევრავლესს ნეტარებას ანიჭებდა.

**შალვა დადიანი.**

ახალგაზდა ამსრულებელიც დარწმუნებული იქნება, რომ მას ხელოვნური თამაშით თავისი წვლილი შეაქვს მსახიობთა საერთო შემოქმედებაში და ხელს უწყობს პიესის საერთო ინტერპრეტაციას. მხოლოდ ამისთანა პირობებში შეიძლება გამოჩნდეს ნამდვილი ნიჭი ახალგაზდა მსახიობისა.

ქართული დრამატიული საზოგადოება კი სულ სხვანაირად იქცევა. იგი გამოსაცდელ წარმოდგენად ირჩევს მარტივ პიესას და ახალგაზდა არტისტს ამ მარტივ პიესაში პასუხ-საგებ როლს აძლევს. ჩვენის აზრით კარგს იზამს ქართული დრამატიული საზოგადოება, თუ შემდეგში ასე აღარ მოიქცევა.

რომ ჩვენი სიტყვები ნამდვილია, ამას ბ-ნი ბ. მდივანის დებიუტიც ამტკიცებს. ეჭვს გარეშეა, ბ-ნი მდივანი ბევრის სასცენო ღირსებითაა შემკული; კარგი ხმა აქვს, ტემპერამენტი. მიუხედავად ამისა, მისი სასცენო ნიჭის შესახებ გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლება. ყოვლად ყალბი ტიპი ლევან ხიმშიაშვილისა, ყალბივე ფსიხოლოგიურ მომენტებით, ამსრულებელსაც ფრიად უხერხულ მდგომარეობაში აგდებს. ძალიან გამოცდილი და დახელოვნებული უნდა იყოს არტისტი, რომ ეს სიყალბე ლევანის ტიპისა სძლიოს და შეავსოს ის სიცარიელე, რომელიც სცენაზე იბადება. სვიმონ ლეონიძე გრძელ-გრძელ მონოლოგებს კითხულობს, სხვა და სხვანაირ სენტენციებს ანვითარებს, ამ დროს კი ლევან ხიმშიაშვილის როლის ამსრულებელი იძულებული ხდება თვალებ-დაჭყეტილმა შესცქეროს მის დაუსრულებელ ლაპარაკს, როგორც ამ შემთხვევაში ბ-ნ მდივანს მოუვიდა.

მიუხედავად პიესის სისუსტისა, ბ-ნი მდივანი ბევრს ადგილებში მაინც კარგი იყო. განსაკუთრებული ტემპერამენტი გამოიჩინა უკანასკნელ სურათში, სადაც ჩვეულებრივად თითქმის ყველა ამსრულებელი კარგს შთაბეჭდილებას ახდენს, ალბად იმიტომ, რომ აქ იხსნება კვანძი მთელი დრამისა. არ შეგვიძლიან მხოლოდ არ აღვნიშნოთ, რომ ბ-ნმა მდივანმა თავიდანვე მაღალის ტონით დაიწყო. პირველ მოქმედებაში, მაგალითად, ქეთევანთან ლაპარაკის დროს ენერგიის დახარჯვა ისე უბრალოდ, როგორც ბ-ნი მდივანი ხარჯავდა, საჭირო არ იყო. უკანასკნელ სურათშიაც ქეთევანს იმ კილოთი ელაპარაკებოდა, თითქოს მან კიდეც იცის, რომ მოღალატე ქეთევანიაო. ამ მომენტში ბ-ნ მდივანის გამოთქმა აშკარა მუქარა იყო, ამასთანავე ისეთის კილოთი წარმოთქმული, თითქოს მის წინ ქეთევანის სახით უკვე გამოაშკარავებული მოღალატე სდგასო. საზოგადოთ დეკლამატიური ხასიათი ლევან ხიმშიაშვილის როლისა არტისტს მიმიკისთვის ფართო ასპარეზს არ უტოვებს, მაგრამ ბ-ნმა მდივანმა იმ ცოტა მომენტებითაც კი ვერ ისარგებლა, რომლითაც შეეძლო ესარგებლა. სულიერ ტანჯვას იგი ხმის ამაღლებითა და ხელების ქნევით უფრო გვამცნევდა, ვიდრე მიმიკით.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება. ჩვენს არტისტებში ქართულად თითქმის არავინ ლაპარაკობს: უსაძაგლესი დიქცია სრულიად უკარგავს ბუნებრივ სილამაზეს ქართულ გამოთქმას და ძალიან ცუდს შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებლებზე. პირველი წარმოდგენიდან ცხადი შეიქნა, რომ ბ-ნი მდივანიც ამნაირის სენითა ყოფილა შეპყრობილი. ძალიან კარგს იზამს ბ-ნი მდივანი, თუ ამ გარემოებას ყურს მიაქცევს და ეცდება დიქციის გასწორებას. ყველა ამ შენიშვნებს მხოლოდ იმიტომა ვწერთ, რომ ბ-ნ მდივანის მომავალი გვწამს. გადაჭრით კი, სანამ იგი თანამედროვე პიესებში არ გვაჩვენებს თავის თავს, არაფრის თქმა არ შეიძლება. ნიჭის გარჩევა როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ლევან ხიმშიაშვილის როლში შეუძლებელია.

მაყურებლის ყურადღებას იქცევდა ახალი დეკარაციები და ტანისამოსი. დეკარაციები მართლაც ხელოვნურად იყო შეწყობილი. საზოგადოდ ტეხნიკური მხარე წარმოდგენისა, მასიური სცენები ისე იყო მოწყობილი, როგორც არასოდეს არაა ყოფილა ქართულს სცენაზე. ამ შემთხვევაში მადლობის ღირსია ბ-ნი შალიკაშვილი. კარგად იყო მოწყობილი ტეხნიკური მხარე წარმოდგენისა, მაგრამ აქაც ზოგიერთი ნაკლი ემჩნეოდა. მაგალითად შუა ზამთარში ფათხოში გასასეირნებლად მიდის დილომში და თხელი კაბა კი აცვია; მსუბუქი კაბა, როგორც თქვენც დამეთანხმებით, როგორღაც არ უხდება შუა-გულ ზამთარს. ისიც წარმოუდგენილია, რომ ხალხი სიცივეში უქუდოთ დღეობდეს. ყველა ეს მართალია წვრილმანია, მაგრამ ილიუზიას საბოლოოდ სწორეთ ეს წვრილმანები ჰქმნიან. და სცენის დანიშნულებაც ხომ ილიუზიის შექმნა!

სხვა მოთამაშეთაგან არავის აღვნიშნავთ; ყველანი, შეძლებისა დაგვარად ანსამბლს ხელს უწყობდნენ.

წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო.

**Homos**

—

**ქუთაისი.** ხუთშაბათს 22 სექტემბერს, ქალაქის თეატრში გაიმართა კონცერტი, რომელსაც უმთავრეს მონაწილეობას იღებდა ახლად მოვლენილი მომღერალი აპოლონ სამსონია.

კონცერტის წინ დღით „კუტ. ლისტ.“—2 ამ მომღერალს დიდებული—სიმწაფის მოწმობა—დაუწერა. აღნიშნული იყო, რომ ბ-ნ სამსონიას უმღერია სხვა და სხვა ადგილას, საზოგადოება დიდ აღტაცებაში მოსულა ყველგან და ქართულ (?) რუსული პრესა ქება-ხოტბით გავსებულა. შესრულებული იქმნებოდა ამ საღამოს სხვათა შორის ბევრი ქართული რომანსები: „შენ გეტრფი მარად“ და სხ...

საზოგადოება დაინტერესდა. თეატრი თითქმის გაივსო და ყველა პირში ჩალა გამოვლებული დარჩა.

ბ-ნ სამსონიაზე უკეთესს მომღერლებს ვიცნობთ ქუთაისში თვით ხორისტთა შორისაც—კი, მაგრამ მოუმზადებლად საზოგადოების წინაშე განა საპატიებელია გამოსვლა?.. ბ-ნ სამსონიას-კი არავითარი საბუთი არა აქვს სთქვას რომ იგი უკვე მომღერალია. ამისთვის არა კმარა აფიშაზე გამოცხადება მარტო იმისი, რომ ვილაც პროფესორთან გაკვეთილებს ვიღებდიო, საჭიროა უეჭველად მომღერალს თავისივე ხმა **ესმოდეს** და ატყობდეს როგორის ყალბის დისონანსებით ავსებს იგი ნამღერ ჰანგს...

ხმის გამოსაცდელად ან სავარჯიშოდ შეიძლება სადმე კულაში ან ხოპში გამოსვლა და ისიც თავისიანებს შორის, თორემ დიდ ქალაქში და ცემოვნება განვითარებულ საზოგადოების წინაშე ასეთი ცდა მომავალზედ სერიოზული შეხედულების უარყოფას ნიშნავს...

ხაზ გასმით უნდა აღვნიშნოთ ის მეტიჩრობა, რომელიც ამ ახალმა ჩვენმა თანამემამულემ გამოიჩინა და ისიც პირველადვე ჩვენი საზოგადოების წინაშე.

იგი ჰბაძავს ზოგიერთს ჩვენებურს —ნახევრად გადაგვარებულ მომღერლებს და იმათებურად უხამსოდ მოიქცა. არც ერთი ქართული რომანსი არ უმღერია და დამახინჯებული რუსული დავიდევრადაც სხვა ენაზე ვგონებ იტალიანური უნდა ყოფილიყო. ვითომდა იმღერა.

თუ არ ვცდებით შალიაპინს ტფილისში ყოფნის დროს უსაყვედურეს ერთ რუსულ გაზეთში, რატომ ქართული რომანსები არ იმღერეო, ბ-ნი სამსონია დარწმუნებული ბრძანდებოდეს, რომ არც რუსები და არც იტალიელები არ დაუმადლებენ მათ რომანსებს რომ ასე აჯახირებს... ჩვენგნითკი ასეთი პირები საყვედურის ღირს-კი არა, სრულიად უყურადღებობის ღირსნი არიან.

კონცერტი სრულიად დამარხვისაგან გადაარჩინეს ცოტაოდენით ბ-ს მ. ქორიძემ ვიოლონჩელზე დაკვრით. დ. მესხმა სადღესო კუპლეტების წაკითხვით და გიგინეიშვილმა რომელმაც შნოიანად წაიკითხა ლექსი: შოთა რუსთაველს“

ეს იყო და ეს...

9 საათზე დაწყებული. „კონცერტი“ 10½ დასრულდა და ამ ხანის რიცხვში ნახევარი საათი ანტრაქტი იყო.

ბევრი დაუჯერებელი იყო ასე უშნოდ არ გათავდებოდა საღამოს და თეატრიდამ არ მიდიოდა კარგა ხნობამდე....

გამოირკვა, რომ რედაქციაში თვითონ ბ-ნ სამსონიას მოუტანა რომელიღაც გაზეთიდამ ამონაჭერი შენიშვნა და ამ ნიადაგზე „კუტ. ლისტ.“ მიუცია სიმწიფის მოწმობა...

უკუდო რეკლამები-კი არ არის საჭირო, ბატონო სამსონია, საჭიროა მეტი შრომა, ცოდნის შეძენა, მომზადება და მეტი დაფასება და პატივისცემა საზოგადოებისა...

**ჯაფარ.ფაშა.**

—

**დ. ხონი.** დადგა შემოდგომა. დაიხურა წარმოდგენების სეზონი. ხონიდან რუსეთის სხვა და სხვა გუბერნიებში გაურბის ხონელების გონებრივად გამართობელი სტუდენტობა, ხალხიც დაყრუვდა. ამ ჟამად აქ სამარისებური მოწყენილობაა გამეფებული. ამ სამარისებულ მოწყენილობას და სიჩუმეს არღვევს სამიკიტნოებში ახალ მოდის ქუჩური სიმღერა „არ შეგცივდეს ბარაშკაჯან“ და ქუჩა-ქუჩა ლოთ ადამიანების ყვირილი. არ გრძნობენ აგრეთვე ამ სამარისებურ სიჩუმის დროს მოწყენილობას ზოგიერთი პესტალოცები და ბრწყინვალე ინტელიგენტები, რომლებიც თითქმის ყოველ საღამოს კარტ-ნარდის თამაშში ერთობიან.

ინტელიგენტი ხალხისათვის მაგალითის მიმცემი უნდა იყოს, აგრეთვე მასწავლებელიც. მასწავლებლის მოქმედებას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს მოწაფეთა აღზრდის საქმეში. აქ კი, ამ კურთხეულ ხონში, როგორც ინტელიგენტები, ისე ზოგიერთი ვაჟბატონი პედაგოგებიც ცუდ მაგალითს აძლევენ ხალხს და მოწაფეებს — ინტელიგენტ-პესტალოცების ასეთი მოქმედების შემდეგ გასაკვირველი არ არის, რომ ხალხი და მოწაფეები უფრო ცუდად მოიქცნენ ცხოვრებაში. არც მიკვირს როდესაც ვხედავ ხონის სამიკიტნოებს ყოველ დღე ავსებულს ხალხით და მოწაფეებით. ასევე ავსებულია ხალხითა და მოწაფეებით ბილიარდ-ფოიეებიც.

ხონში მოწყენილობას გრძნობენ მხოლოდ ისინი, რომლებსაც გარდა ყოველ-დღიურ ცხოვრებისა სხვა სულიერი და გონებრივი მოთხოვნილებაცა აქვთ. საბრალოა ასეთი ადამიანები ხონში. ისინი აქ კი არ ცხოვრობენ, არამედ იტანჯებიან სულიერად. კარგი იქმნება, რომ ასეთ გარემოებას მიაქცევდეს ადგილობრივი განყოფილება წ. კ. საზოგადოებისადა მოიწვევდეს დრო გამოშვებით ლექტორებს ლექციის წასაკითხად. ხონშიაც ბევრია ისეთი პირები, რომლებსაც შეუძლიანთ რაიმე თემებზე ლექციების წაკითხვა. არ იქმნება აგრეთვე ურიგო, რომ ესევე საზოგადოება დრო გამოშვებით გამართავდეს ხონში სალიტერატურო საღამოებს. კეთილ საქმეს იზამს ქუთ. დრამატიული დასიც, თუ ისიც დრო გამოშვებით ხონსაც ესტუმრება ხოლმე.

**იბერი.**

# უცხოეთი

**ოსმალეთი იარაღს ართმევს ბერძნებს.**

სალონიკიდან იუწყებიან, რომ მაკედონიაში მცხოვრებ ბერძნებს ოსმალეთის განკარგულებით, ოსმალეთის ჯარმა იარაღი აჰყარა. რამდენსამე საათში დაატუსაღეს ათასამდე ბერძენი. მათ შორის ერთი ეპისკოპოზიც, ხმები დადის, ვითომც მაკედონიაში ბერძენ რევოლუციონერთა კომიტეტი აღმოეჩინოს ოსმალეთის მთავრობას.

**გაკოტრებული მეფე**

სერბიის ბატონიშვილი გიორგი უკიდურეს სიღარიბეშია თურმე, მას მერე რაც მეფობიდან გადააყენეს. მეტად მცირე ჯამაგირი აქვს, ისე რომ ხანდისხან უგროშოდ არის და მეგობრებთან წერილიც ვეღარ გაუგზავნია ყიმარკების გამო.

ამას წინედ თავისი ცხენი ერთ მეგობარს მიაბარა, რადგანაც საკვები აღარა ჰქონდა...

**კონგრესი შრომის საერთო კონფერენციისა.**

საფრანგეთის ქალაქ ტულონში ამ მოკლე ხანში მოხდება „შრომის საერთო კონფერენციის“ მეთერთმეტე კონგრესი. რადგანაც სინდიკალურმა მოძრაობამ თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა, ეს კონგრესი ფრიად საყურადღებოა და დიდის გულისხმიერობითაც ელოდებიან.

ეს კონგრესი მით უფრო საინტერესოა, რომ აქ სინდიკალისტთა ორი ჯგუფი შეებმის ერთმანეთს— რევოლუციონერები და მშვიდობიანობის მომხრე; თუმცა პირველი ჯგუფი უფრო ძლიერი და გავლენიანია საფრანგეთის სინდიკატისტებში.

**ბანკირების დაპატიმრება.**

ამას წინად საფრანგეთში დაატუსაღეს ცნობილი შვეიცარიელი ბანკირები. როგორც გამოირკვა მათი დაპატიმრება ბერნის სასამართლოს მოუთხოვნია. სასამართლომ დეპეშით აცნობა პარიზში: შეიპყარით ბრეტმაიერი, სტეევენსა, მაესა, ფრიდლანდა და დემონრუაო. ამათგან პირველი ოთხი პარიზში და ბიარიცში შეიპყრეს, მეხუთე კი იტალიაში გაქცეულა.

მეასს ბრალსა სდებენ, რომ მან ქალაქ ბერნიდან საკუთარ ბანკის შემწეობით, შვეიცარიასა და ბელგიაში ყალბი აქციები გასაღოთ.

ამაზე ბანკს პარიზშიაც ჰქონია განყოფილება „ნაღდის მაძიებელი სინდიკატი“.

# კიდევ პროვაკატორი

ამას წინედ ადმოაჩინეს ახალი პროვოკატორი „დეთნიდოვა“—შეციატო. ამ საქმეში ურევენ ამ ქალის ქმარს— ლიტერატორს.

მხილებული ისევ ცნობილი ბურცევი: ამის გამო ბურცევი ამბობს;

— მე სრულებითაც არა მსურდა ჩემი აზრის ამ ლიტერატორის შესახებ იმაზე ადრე გამოთქმა, ვიდრე მისგან ჩემს წერილზე პასუხს არ მივიღებდი. ახლა კი ვეღარ დავფარავ ჩემს აზრს და ვიტყვი, რომ იმ ლიტერატორმა უსათუოდ იცოდა თავისი ცოლის პროვოკატორობა, მაშ, მისი თანაზიარიც ყოფილა.

მე მას ორი წერილი გავუგზავნე, ერთი მოსკოვში, მეორე—იტალიაში. მოსკოვიდან წერილი უკან დამიბრუნეს; იტალიაში გაგზავნილი კი, ალბად, მიღებული აქვს. პასუხი კი არ მიმიღია. მან სამი წელიწადია იცოდა, რომ მის მეუღლეს პროვოკატორობაში ვამხილებდი და მაინც გასამართლება არ მოუთხოვნია. შარშან მთელი წელიწადი ერთად გაატარეს, ხოლო წელს აგვისტოში ჩემთან მოვიდა მხოლოდ ცოლი და გამომიტყდა უცხოეთში.

საბოლოოდ ჩემ აზრს, მისგან წერილის მიღების შემდეგ გამოვთქვამ.

მოსკოვში მყოფ მის მეგობრებს შევძლოთ ამ საქმისათვის ხელი შეეწყოთ, თუ გამოარკვევდნენ მის წასვლას არგენტინაში და განსაკუთრებით გაიგებდნენ დროს, როდესაც იქით გაემგზავრა“.

ამ სიტყვების პასუხად „უტრო როსიის“ რედაქცია სწერს: ნამდვილ წყაროებიდან ვიცით, რომ აღნიშნული ლიტერატორი, ბურცევიდან წერილის მიღების შემდეგ არგენტინაში, აღარ წასულა ხოლო ამჟამად კი პარიზში იმყოფებაო.

მერე გამომჟღავნებული პროვოკატორებისა დეთნიდ პეტრეს ძე მენშჩიკოვი კი სხვა მხრივ ეხება ამ საქმს.

მე მხოლოდ ერთხელ ვნახე ქ-ნი შეციატო—უთქვამს 1902 წ.; მაშინ მე მოსკოვის საიდუმლო პოლიციის უფროსის სტოლს თანაშემწედ ვიყავ. მორიგემ სადარბაზო ბარათი შემოიტანა, ზედ ეწერა „ქ-ნი შეციატო“.

პირადად ნახვა სურდა ჩემი.

მივიღე.

— რა გნებავთ?—ვკითხე

— მე გიახლებით, რომ გაცნობოთ ცნობანი ექიმ მარკინოვსკის პოლიტიკურ მოღვაწეობაზე.

— რაში გამოიხატება მისი მოღვაწეობა?

— პროპაგანდას ეწევა კურსებზე მოსიარულე ქალებში, „წიგნებს“ აკითხებს და სხ..

რადგანაც მე კარგად ვიცოდი, რომ ექიმი მარცინოვსკი არც ერთ რევოლუციონერ ორგანიზაციაში არ ითვლებოდა, შევეკითხე:

— მასთან სხვა რამე პირადი უსიამოვნება ხომ არა გაქვთ?

— თქვ, არა: მე მხოლოდ მსურს რევოლუციონერებთან ბრძოლაში დაგეხმარო და თუმცა ახლა ცოტა რამ ვიცი, მაგრამ შემდეგ ბევრს გაგიგებ.

— მე მივხვდი, რომ მას იწვევანიობა ალაპარაკებდა და ქმრის წინააღმდეგ იყო ამხედრებული მაგრამ სამსახურის მოვალეობა მაიძულებდა მეთხოვნა მისთვის, რომ ქალაქიდან მოეწოდებინა წერილობითი ცნობანი რევოლუციონერებზე, ხოლო წერილს ბოლოს ეწერა, მოეწერა „დეთნიდოვი“. ამგვარად მისი ნათლია მე გავხდი.

მართლაც მალე მივიღე მისგან წერილი, საიდანაც დავრწმუნდი, რომ მას არა გაეგება-რა არც ნებადართულ და არც ნება დაურთველ ლიტერატურისა და არც პარტიულ მოძრაობაზე იცოდა რამე. ეს წერილი ამ ზამთარს ერთი საქმის გამო ს.-დემ. კომისიას ჩავაბარე...

იმის მეორე ქმრის შესახებ კი არავითარი ცნობანი არა მაქვს, ვითომც „ოხრანკაში“ მუშაობდეს. თუ ეს ხმები მხოლოდ ქ-ნ შეციატოს სიტყვებზე და ჩვენებაზეა დამყარებული, ჩემის აზრით, სიცრუვე უნდა იყოს. ამ ქალის წარსული ამტკიცებს, რომ მისი ტაქტიკა მასთან დაახლოვებულ პირებთან უოჯახებისთვის ერთი და იგივეა. პირველი დაასმინა მარტინოვსკი, რომ შური ეძია; მეორედ კი რაკი ნახა რომ ქმარმა გადაჭრით მოსთხოვა:

„თავი ამართლე, ან გაგიყარნეთო“,— ისევ შურის ძიებას მიჰმართა და თავის ქმარიც თანამოაზრე და მონაწილე გამოჰყავს.

ამავე შეციატოს შესახებ. მ. ე. ბაკაის უთქვამს, რომ იგი „პოლიციაში“ ნაყოფიერად 1905 და 1906 წლებში მუშაობდა, ამავე დროს უნდა მიგვეწერა მისი ქმრის შანწილეობაც. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ მოსკოვის საიდუმლო პოლიციის უფროსს პეტერსონს უნდა სცნობოდა მისი ქმარიც. იმას კი ამის გამო არაფერი უთქვამს ჩემთვის.

როგორც სხანს მენშჩიკოვი და ბაკაი ამართლებენ ქ. „დეთნიდოვა“—შეციატოს ქმარს—ლიტერატორს.

ვნახოთ რითი დამთავრდება ეს საქმე.

# სასამართლო

**სოც.-რევოლუციონერთა დასჯა.**

გუშინ, 27-ს სექტემბერს, კავკასიის სამხედრო სასამართლოში სამი დღის გარჩევის შემდეგ გამოიტანეს განაჩენი სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიის წევრების შესახებ, რომელთაც აბრალებდნენ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე მოქმედებას. სამართალში იყო მიცემული ათი კაცი: 1 ქართველი, 4 სომეხი და 5 რუსი. ბრალდებულთ იცავდა 8 ნაფიცი ვექილი.

სასამართლომ ყველას გამასწორებელ რაზმში გაგზავნა გადაუწყვეტა ექვსი წლიდგან—ორ წლამდე, ყოველივე ღირსების ახდით.

**ყალბი მოწმობა.**

თბილისის საოლქო სასამართლომ გაარჩია საქმე ტუსაღის ივანე ივანეს ძის ჩებოტაევისა მას აბრალებდნენ მეტეხის ციხეში ყოფნის დროს, ყალბი მოწმობის შედგენას, რომ გამოეტანა ციხის მედუქნე ბერიევისაგან 29 მანეთის სალირალი საქონელი.

სასამართლომ დამნაშავედ იცნო ჩებოტაევი და მიუსაჯა ერთი წლით ირკუტსკის ქარხნებში მუშაობა ჩებოტაევი ირკუტსკიდან იყო მოწვეული ამ საქმეზე და ახლაც იქ უნდა გაგზავნონ სასჯელის მოსახდელად.

ექიმი ... ქუთაისში
იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—190

ცხოველების გამჭრიახობა
პატარა ბავშვების პირველი საკითხავი დახურათებული წიგნი.
ფასი 25 კაპ.
იყიდება „ჯეჯილის“ რედაქციაში: არტილერიის ქუჩა № 5, და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.
ვინც ათზე მეტ წიგნს იყიდის, მათ დაუთმობათ 20 კ. (10—58—5)

გამოცდილი ხაპნის მკეთებელი ბევრი წელი წადი ვიმუშავე თაიროვისა, ალიხანოვისა, და ტოლლებ აქვ. საზოგადოებაში — ტფილისში. ვეძებ ადგილს ან ამხანაგს ქარხნის გახახსნელად. კარგათ ვამზადებ ყველა პირველ ხარისხის საპონს, ვაკეთებ იაფ ფასიან ზეთის ნარჩენიდან, ნარევიდან, და აგრეთვე ყველა მეღრე ხარისხის საპონს, საპირფარეშო საპონს.
ადრესი: ქ. ტფილისი ხ. ს. ლინცკის მოკითხვამდე. (Довостребованiя)
(5—62—4)

მშობიარეთათვის
თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.
ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის
მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 11-დან ნაშუადღევის 1 ს. (თ.—76—1)

აფთიაქი
იყიდება ან იძლევა იჯარით ს. მეჯვრისხევში (გორის მაზრა)
ადრესი: черезъ Горивъ сел. Меджврисхеви, аптека. (2—95—2)

ძმათა ავსარქისოვების
ბაღსა და სანერგეში
მოიპოვება საზღვარ-გარეთისა, რუსეთისა და ადგილობრივ საუკეთესო ჯიშის ხეხილი.
კატალოგები იგზავნება მოთხოვნისათანავე უსასყიდლოდ.
ადრესი: სად. სკრა, ამიერ-კავკასიის რკინის გზისა.
(15—55—6) ავსარქისოვი.

საბუღალტრო კურსები
ტფილისი, სანაპირო ქუჩა, ვერის ხიდთან № 19.
ი. ფონ-ბრენნერისა,
(სახალხო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტისაგან და ფინანსთა სამინისტროს სასწავლო განყოფილებისაგან ყველა საკომერციო სასწავლებელში სახმარებლად მოწონებულ სახელმძღვანელოების ავტორისა).
კლასსები დაარსებულია 1890 წ. და ცნობილია სამოსწავლო მთავრობის მიერ.
კლასები აძლევენ სპეციალურ საკომერციო მომზადებას ორივ სქესის პირთ, ვისაც ჰსურს მიიღოს ადგილი ბუღალტერის, კორესპონდენტის, ანგარიშთა მწარმოების აგენტისა და სხვა.
კლასსებში ასწავლიან შემდეგ საგნებს: 1) ბუღალტერიას (ორმაგი, იტალიური) და სხვა სისტემები, საგანგებო ანგარიშების წარმოება: საბანკო, საფაბრიკო, საქალაქო და საერობო საბჭოების, არყის მონოპოლიის, სამარხნო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სწავლება დაყენებულია პრაქტიკულად და მოსწავლენი პირველ გაკვეთილიდანვე ეჩვევიან საკუთრივ აწარმოვონ წიგნები. 2) კომ. არითმეტ.— საბანკო, საქონლისა, სავექსელო და სხვა ანგარიშებისა. 3) კორესპონდენტიას— კომერციულ წერილების შედგენა საბუღალტერო სწავლის, კომერციულ არითმეტიკის და სავაჭრო კანონების მიხედვით, 4) კალლიგრაფიას —ხელის გასწორებას სხვა და სხვა ხასიათის შრიფტების შესწავლას: 5) კანონდებას—სავექსელო, საგერბო, სამრეწველო, საკრედიტო და სხვა წოდებათა შესწავლას. 6) საწერ მანქანებზე წერას; მოსწავლეთა განკარგულებაში იმყოფება 10 სხვა და სხვა სისტემის მანქანა, რომელზედაც თავისუფალ დროს შეუძლიანთ თავისი სამუშაო გაიკეთონ. ამასთანავე ტეხნიკოსის ზედამხედველობით შეისწავლონ ტეხნიკა და მანქანების მექანიზმი. 7) საქონლის ცნობას,—გააცნობს მოწაფეებს ადგილობრივ ბაზრის უმთავრეს საქონლის ქიმიურ შედგენილობას და იმის თვისებათა გამორკვევას. ამ მიზნისთვის კლასსებს საგანგებო კაბინეტი აქვს მოწყობილი. 8) ანგარიშის ჩოთქზე—არითმეტიკულ და ალგებრაულ ამოცანების კეთებას. განმარტიებული და ამერიკული წესები, ყველა არითმეტიკული მოქმედებანი და ამოცანების კეთება მთელის კურსის განმავლობაში წარმოება მხოლოდ ჩოთქზე. მოსწავლეთა საერთო და საგანგებო განვითარებისათვის მოწყობილია ბიბლიოთეკა საუკეთესო სახელმძღვანელოებით სასწავლო საგნების ლიტერატურიდან. მოსწავლეებს წიგნები შინ წასაღებადაც ეძლევათ.
კლასსებში კურს დამთავრებულთ უსასყიდლოდ შეუძლიათ იქონიონ პრაქტიკა ი. ფონ-ბრენნერის სატეხნიკო და სავაჭრო—სამრეწველო ბიუროს კანტორაში, რაც, უეჭველია, დიდად სახარგებლოა მოსწავლეებისათვის.
კლასები შესდგება სამის განყოფილებისაგან: 1 განყოფილებაში მიიღებიან წერა-კითხვის მცოდნენი, 2-ში—საქალაქო ან საკლასიან სამუალო სასწავლებელში კურს დასრულებულნი. და მე-3 ში—ბუხალტერის და კომერციულ არითმეტიკის პრაქტიკული მცოდნენი. დასაწყისი სწავლის 15 სექტ. თხოვნები მიიღება და ცნობები მიიცემა კლასსების კანცელარიაში, ტფილისში, სანაპირო ქუჩაზე, ვერის. ხ. დთან, საკუთარ სახლში N 19 ან სერგიევის ქუჩაზე N 4. კანცელარია ღიაა ყოველ-დღედილის 9 ს 1—ამდე და საღამოს 5—დან 8 საათამდე. ტელეფონი N 929 და 1044.
(20—ბუ—12)

თევზის მაღაზია
ს. ა. ზუკასოვისა
[illegible]
ტელეფონი № 395

ტელეფონი № 395
[illegible]
(40—33—10)